საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 21 დეკემბერი. 2018 წ. №259 (8660) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

განსაკუთრებული ურთიერთობა და უკუკავშირი ჩვენს მოსახლეობასთან, აი, ჩვენი აბსოლუტური პრიორიტეტი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა

2019-2020 წლებში საქართველოს საბიუჯეტო რესურსი იქნება დაახლოებით 27 მილიარდი ლარი. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება საკმარისი ყველა პრობლემის დასაძლევად, მაგრამ ეს არის მნიშვნელოვანი რესურსი იმისთვის, რომ ჩვენს მოქალაქეებს შევუმსუბუქოთ პრობლემები, დავეხმაროთ ჩვენს ეკონომიკაში ახალი შესაძლებლობების შექმნას, უფრო სწრაფი ტემპებით განვავითაროთ ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, უფრო აქტიურები და წარმატებულები ვიყოთ ჩვენს რეფორმებში. ამისთვის გვჭირდება ძალიან ეფექტური მმართველობითი სისტემა. ჩვენ გავაგრძელებთ საჯარო სექტორის რეფორმას და მმართველობითი სისტემის მოდერნიზაციას. ჩვენ აუცილებლად უნდა მივიღოთ ისეთი მმართველობითი სისტემა, რომელიც უმოკლეს ვადებში გადაჭრის ჩვენი მოქალაქეების წინაშე არსებულ პრობლემებს. ეს რესურსი არსებობს და ის უნდა მოხმარდეს პირველ რიგში ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობას. ჩვენ დროულად უნდა მივიტანოთ ეს სიკეთე ჩვენს მოქალაქეებამდე და ამავე დროს, უნდა გვქონდეს განსაკუთრებული კომუნიკაცია და უკუკავშირი ჩვენს მოსახლეობასთან. ეს არის ჩვენი აბსოლუტური პრიორიტეტი.

იხ. 2,4,8 გვ.

ტრამპი სალომე ზურაბიშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევას ულოცავს

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სალომე ზურაბიშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევას ულოცავს.

დონალდ ტრამპი წერილში კიდევ ერთხელ უხდის მადლობას საქართველოს ავღანეთის მისიაში შეტანილი წვლილისთვის და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განმტკიცების იმედს გამოთქვამს.

„ქალბატონო პრეზიდენტო, გილოცავთ საქართველოს პრეზიდენტად არჩევას. ამერიკის შეერთებული შტატები სრულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, კეთილდღეობასა და დემოკრატიულ განვითარებას, ასევე საქართველოს მეტ ინტეგრაციას დასავლეთთან. მე ველოდები აშშ-ისა და საქართველოს ახლო პარტნიორობის გაგრძელებას სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განმტკიცებას.

ჩვენ მადლიერი ვართ თქვენი ქვეყნის მიერ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ავღანეთის მისიაში შეტანილი წვლილისთვის და ქართველი სამხედროების მიერ გაღებული მსხვერპლისთვის. საუკეთესოს გისურვებთ თქვენ და ქართველ ხალხს“, — ნათქვამია დონალდ ტრამპის განცხადებაში.

„არასამთავრობო სექტორი“, „გაერთიანებული ოპოზიცია“- ფულზე დახარბებული ბრბო!

16 დეკემბერს თელავში, ბატონის სასახლის ეზოში საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის ინაუგურაცია დიდი პერიპეტიების, დაპირისპირების, ღელვის და საზოგადოების სრული ჩართულობის შემდეგ, არა მხოლოდ დამაგვირგვინებელი ღონისძიება, არამედ პოლიტიკური ცხოვრების საბოლოო და სრული ლუსტრაციის მაჩვენებელი გახდა.

მეტი ლუსტრაცია რაღა გინდათ?

ყველამ გაიგო, თუ ვინ „შეჭამა ვენახი“, ანუ საარჩევნო ფული.

ყველამ გაიგო, რომ რუსეთს სურდა თავისი პრეზიდენტი დაენიშნა, მაგრამ არ გამოუვიდა.

ყველამ გაიგო, რომ თუ სახელმწიფო თავის ადგილას არ დგას, სხვადასხვა სახელწოდებით შეფუთული ორგანიზაციები („არასამთავრობო სექტორი“, „გაერთიანებული ოპოზიცია“) არის ფულზე დახარბებულთა ბრბო, რომელიც თავისი ქმედებით სახელმწიფოს ძირს უთხრის.

ყველამ გაიგო, რომ ჯერ კიდევ არსებობენ უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები, ვისაც ხელეწიფება არა მხოლოდ იმედის გაღვივება, არამედ რეალური საქმეების კეთება.

ყველამ გაიგო, რომ შვილები ხშირად ვერ უმართლებენ მამებს.

ყველამ გაიგო, რომ ტელემედია არ არსებობს და რაც არის, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, და რაც გვაქვს, არის ერთი პარტიის მონა.

ყველამ გაიგო, რომ ე.წ. „ახალი ინტელიგენცია“, „მწერლები“, „მომღერლები“, „ცნობადი სახეები“ და ა.შ. არაფერია, თუ არა კომპლექსიანი მმართველების მიერ ხელოვნურად შექმნილი გოიმების თავშეყრის ადგილი, ვინც პიარის მიუხედავად, ვერ მოიპოვა სასურველი სტატუსი და ამის გამო ყველანაირად ებრძვის ნიჭიერ ახალგაზრდებს და ნამდვილ ინტელიგენტებს.

ყველამ გაიგო, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მმართველი ჯგუფის წარმომადგენლები, მენტალობით არიან ფაქტობრივი მოწინააღმდეგეების და საქართველოს მტრების იდეების მონები. ყველამ გაიგო, რომ ხალხს აქვს უზენაესი ძალა — გადაწყვიტოს არჩევნების შედეგი. ყველამ გაიგო, თუ როგორი პოლიტიკოსია საქართველოს ორგზის პრეზიდენტად ნამუშევარი ქალბატონი და გაიგო, რომ არსებობს კონსტრუქციული, რეალური ოპოზიციური ძალა, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი.

კიდევ ბევრი რამ გაიგო ყველამ...

იხ. 3 გვ.

ორი პოლუსი: ირაკლი წერეთელი და ვლადიმერ ჟვანია

6



საქართველო ექვს ერშია — ჯერ მხოლოდ ერთი მსაჯით!

10

განსაკუთრებული ურთიერთობა და უკუკავშირი ჩვენს მოსახლეობასთან.

აი, ჩვენი აბსოლუტური პრიორიტეტი

დღეს საქართველოს წინაშე ორი ყველაზე მტკივნეული გამოწვევაა – **ოკუპაცია და სიღარიბე**. ეს არის სწორედ ჩვენი ეროვნული ამოცანა, რომ ორივე გამოწვევა ერთობლივი ძალისხმევით დავძლიოთ. სწორედ ამის გარშემო უნდა იყოს ჩემი აზრით, გაერთიანებული საქართველოს თითოეული მოქალაქის ძალისხმევა. ყველას გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს სიღარიბის გარეშე, სადაც თითოეულ მოქალაქეს ექნება ღირსეული ცხოვრების უფლება.

ჩვენი მიზანია, საქართველო დაუბრუნდეს თავის დიდ ევროპულ ოჯახს, სადაც ადამიანის თავისუფლება და ადამიანის უფლებები, სასამართლოს და მედიის თავისუფლება, კანონის უზენაესობა, კერძო საკუთრება წარმოადგენს მთავარ ღირებულებას; სადაც დღის წესრიგი განისაზღვრება დემოკრატიული, ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების და ეკონომიკური განვითარების პარადიგმაზე დაყრდნობით. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის მიღწევა ძალიან რთული ამოცანაა იმ გამოწვევებიდან გამომდინარე, რომელიც გვაქვს დღეს ჩვენ საქართველოს წინაშე.

სამწუხაროდ, მთავარ ეკონომიკურ გამოწვევად ჯერ ისევ რჩება უმუშევრობა და ეს არის ძალიან რთული ბარიერი იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით განვითარდეს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩვენთვის მთავარ ამოცანად რჩება სწორედ სიღარიბის დაძლევა. როდესაც ვსაუბრობთ ნებისმიერ ეკონომიკურ ინიციატივაზე, მთავარი შეფასების კრიტერიუმი გახლავთ სწორედ ის, რამდენად დაგვეხმარება ესა თუ ის ინიციატივა, რომ საქართველოში ერთხელ და საბოლოოდ დავძლიოთ სიღარიბე. ჩვენ ვახორციელებთ ძალიან მნიშვნელოვან რეფორმებს და დარწმუნებული ვარ, ამ რეფორმების შედეგად, საბოლოო ჯამში სიღარიბე იქნება დაძლეული, მაგრამ ამასაც გარკვეული პერიოდი სჭირდება. მთავარია, თითოეული ჩვენგანი იყოს დარწმუნებული, რომ საქართველოს მთავრობა ადგას სწორ გზას და ეს გზა საბოლოო მიზნამდე მიგვიყვანს. ვფიქრობ, ამის შეფასებისთვის აუცილებლად უნდა შევხედოთ იმ საერთაშორისო რეიტინგებს, რითაც ფასდება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა და წარმატება. მინდა, რამდენიმე მათგანი ჩამოგითვალოთ – წელს საქართველო მსოფლიო ბანკმა ბიზნესის კეთების თვალსაზრისით მე-6 ადგილზე დაასახელა და ეს ძალიან დიდი წარმატებაა. ამავე დროს, ჩვენ დავწინაურდით სხვა რეიტინგებში. მინდა, განსაკუთრებით გამოვყო „ფრეიზერის ინსტიტუტის“ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რომელიც, ფაქტობრივად, 360-გრადუსიან ანალიზს უკეთებს ამა თუ იმ მთავრობის საქმიანობას. აქ ჩვენ 162 ქვეყნიდან მეშვიდე ადგილზე ვართ. Heritage Foundation-ის ძალიან ცნობილი რეიტინგში – ჩვენ ვართ მე-16 ადგილზე 180 ქვეყნიდან. ღია ბიუჯეტის ინდექსში, რომელიც ზომავს ბიუჯეტის გამჭვირვალობას, თუ როგორ გამჭვირვალედ იხარჯება ბიუჯეტის სახსრები - ჩვენ ვართ მეხუთე ადგილზე. ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს საკუთრების დაცვის საერთაშორისო რეიტინგში. თუ 2012 წელს 131-ე ადგილზე ვიყავით, წელს 45-ე პოზიციაზე ვართ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ყოველწლიურად აუმჯობესებს რეიტინგს მედიის თავისუფლების ინდექსში და თუ ჩვენ 104-ე ადგილზე ვიყავით 6 წლის წინ, დღეს 61-ზე ვართ. ამასთან ერთად, ჩვენი ეკონომიკის სტრატეგიის მთავარი ხედვა გახლავთ ის, რომ საქართველომ დაიბრუნოს თავისი ისტორიული როლი. ეს როლი ყოველთვის გახლდათ ის, რომ საქართველო იყო რეგიონის ეკონომიკური და კულტურული ცენტრი. სწორედ ამისთვის გვჭირდება, რომ მაქსიმალურად წარმატებულები ვიყოთ საერთაშორისო რეიტინგებში. ჩვენი ამოცანაა, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ეს მიღწევები და ყველა რეიტინგში საქართველო იყოს ტოპ ხუთეულში. ამავე დროს, ჩვენი ძალიან ამბიციური, მაგრამ მიღწევადი ამოცანა გახლავთ ის, რომ 2023 წელს საქართველომ მიიღოს საინვესტიციო რეიტინგი, რომელიც არის მთავარი წინაპირობა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა განვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყანათა რიცხვში შევიყვანოთ.

არც ერთ რეიტინგს, არც ერთ სტრატეგიას არანაირი აზრი არა აქვს, თუ ეს არ ემსახურება მთავარს – ჩვენს შემთხვევაში სიღარიბის დაძლევას და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობის ამაღლებას. ჩვენ ვართ მცირე ზომის ეკონომიკა, მაგრამ, ამავე დროს, გვაქვს კონკრეტული ხედვა, თუ როგორ შეიძლება, სწორედ მცირე ეკონომიკის შემთხვევაში მივაღწიოთ ამ ყველაფერს.

მთავრობის განახლებულ პროგრამაში, რომელიც ხუთ პრინციპს ეყრდნობა, სწორედ ეს გახლავთ პირველი პრინციპი, რომ ჩვენ შევძლოთ და ღირსეულად მივიყვანოთ ბოლომდე ჩვენი ერის ცივილიზაციური არჩევანი - საქართველო გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი, ჩვენ დავუბრუნდეთ ჩვენს ევროპულ ოჯახს, ვიყოთ ევროატლანტიკური სივრცის სრულფასოვანი წევრი და სრულფასოვანი მონაწილე. ამ თვალსაზრისითაც 2018 წელი იყო განსაკუთრებული და, ვფიქრობ, ძალიან წარმატებული.

აუცილებლად მინდა, ვახსენო მართლაც ისტორიული რეფორმა - ჩვენ გადავედით ახალ კონსტიტუციაზე, რომლის მიხედვითაც საქართველო ჩამოყალიბდა ევროპულ საპარლამენტო დემოკრატიად. ვფიქრობ, სწორედ საპარლამენტო რესპუბლიკა გახლავთ საუკეთესო მოდელი იმისა, რომ საქართველო იყოს წარმატებული. ეს გახლავთ საკონსტიტუციო მოდელი იმისთვის, რომ ჩვენ გავხდეთ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი. ამავე დროს, უკვე 2018 წელს საქართველოს ჰყავს პირველი ქალი პრეზიდენტი. მსურს, კიდევ ერთხელ მივულოცო ქალბატონ სალომეს ეს ღირსეული გამარჯვება და დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტის ინსტიტუტი კიდევ უფრო დაგვეხმარება ჩვენ ჩვენი მიზნების მიღწევაში.

2018 წელი განსაკუთრებულად წარმატებული იყო ჩვენი საგარეო პოლიტიკისთვის. მინდა, დავიწყო 21 ნოემბერს ჩატარებული შეხვედრით, ფორმატით, რომელიც შეიქმნა სპეციალურად საქართველოსთვის, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობაში ყველაზე წარმატებული ქვეყნისთვის. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ევროკომისიის პრეზიდენტი თავის კოლეგებთან ერთად შეხვდა ჩვენს მთავრობას. ჩვენ გვქონდა ძალიან კონკრეტული დისკუსია იმის შესახებ, როგორ უნდა მოვახდინოთ საქართველოს კიდევ უფრო მეტად წარმატებული ინტეგრაცია ევროპულ ოჯახში. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, ვისთვისაც სწორედ ასეთი ფორმატი შეიქმნა და მინდა, ამისთვის ჩვენს ევროპელ მეგობრებს დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო.

განსაკუთრებით წარმატებული იყო 2018 წელი ნატოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით. სამიტზე კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საქართველო ასრულებს ყველა კრიტერიუმს, აქვს ყველა მექანიზმი იმისთვის, რომ ქვეყანა ამ ნაწილშიც იყოს წარმატებული. ვფიქრობ, 2019 წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება. საქართველო არასოდეს ყოფილა ასე ახლოს არც ევროპასთან და არც ნატოსთან. ეს არის ძალიან დიდი წარმატება და მინდა, ამ პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს დიდი მადლობა გადავუხადო.

ამავე დროს, ურთიერთობები ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან – აშშ-თან არასოდეს ყოფილა ასეთი მაღალი და ყოვლისმომცველი. ბოლო პერიოდში ჩატარებულმა მაღალი დონის შეხვედრებმა საშუალება მოგვცა, გაგვეხსნა სრულიად ახალი შესაძლებლობები ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობისთვის.

რამდენიმე დღის წინ კონგრესში მომზადდა მართლაც ისტორიული დოკუმენტი, სადაც ასახულია, ფაქტობრივად, ყველა გამოწვევა, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას და არის ძალიან კონკრეტული მხარდაჭერის გზავნილები. ძალიან სასიხარულო იყო ჩვენთვის, რომ მივიღეთ მხარდაჭერა იმ კონსულტაციებზე, რომელსაც ვაწარმოებთ თავისუფალი ვაჭრობის შეღების თვალსაზრისით საქართველოსა და აშშ-ს შორის. ვფიქრობ, 2019 წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება ამ თვალსაზრისითაც.

ამავე დროს, მინდა, ხაზი გავუსვა იმ ძალიან მნიშვნელოვან ურთიერთობებს, რომელიც გერმანიასთან ჩამოყალიბდა და ახალ დონეზე ავიდა ანგელა მერკელის საქართველოში ვიზიტის შემდეგ. გერმანია კიდევ უფრო მეტად აქტიურად ერთვება ჩვენს რეგიონულ პოლიტიკაში და გვაქვს კონკრეტული ეკონომიკური პროექტები, როგორ უნდა განვავითაროთ ეს ურთიერთობები.

* * *

თუ ჩვენ შევხედავთ ჩვენს ეკონომიკურ სტრუქტურას, ნათლად ჩანს, რაში გვაქვს ყველაზე დიდი ჩამორჩენა. სიღარიბის მთავარი წყარო გახდა ის ეკონომიკური მოდელი, რომლითაც ქვეყანა ცდილობდა, თავისი კონკურენტუნარიანობა განევითარებინა და ის არ აღმოჩნდა წარმატებული. რატომ?! იმიტომ, რომ მასში მრავლად იყო არასამართლიანი თამაშის წესები. ეს იყო ერთ-ერთი პირველი, რისი ცვლილებაც ჩვენ დავიწყეთ. დიახ, ჩვენ გვჭირდება ახალი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ორიენტირებული იქნება ისეთი ტიპის ეკონომიკურ ზრდაზე, რომელიც შეეხება საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, თითოეულ ქართულ ოჯახს. სიღარიბის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ წყაროდ იქცა 2007 წელს მიღებული სრულიად უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება, რითაც დაიწყო ჭარბვალიანობის პრობლემა საქართველოში. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პრობლემა, რომელსაც ჩვენ შევეჩეხეთ. იმ წესებით, რომელიც ჩვენ სამომავლოდ დავნერგეთ, გამოირიცხა, რომ საქართველოს მოქალაქე ოდესმე ასე არასამართლიანად აღმოჩნდეს ე.წ. შავ სიაში. მაგრამ რა გვექნა წარსულისთვის? თითქმის 600 000-ზე მეტი ადამიანი იყო „შავ სიაში“, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი სამუშაო ძალის თითქმის ერთი მესამედი აღმოჩნდა ნორმალური, ცივილიზებული სოციალური თუ ეკონომიკური ცხოვრების მიღმა. ეს არის სრულიად წარმოუდგენელი, ვერც ერთი ეკონომიკური რეფორმა ვერ გადაფარავდა ამ უდიდეს გამოწვევას და ძალიან დიდ მინუსს. ჩვენ მივიღეთ ძალიან პრინციპული გადაწყვეტილება და დავიწყეთ მართლაც უპრეცედენტო პროექტი. ეს არის ერთჯერადი სოლიდარობის აქტი, რომლის მიხედვითაც 2019 წლის პირველ იანვარს, ახალ წელს ჩვენი 600 000 მოქალაქე, 600 000 ოჯახი ვალისა და „შავი სიის“ გარეშე შეხვდება.

* * *

სიღარიბის **დაძლევა საქართველოში გადის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. ამ თვალსაზრისითაც ჩვენ გვქონდა ძალიან მძიმე მემკვიდრეობა. საგადასახადო დონე, ანუ გადასახადები დიდი კომპანიებისთვის იყო უფრო დაბალი, ვიდრე მცირე ბიზნესისთვის. ეს იყო ძალიან დიდი ბარიერი საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის. ძალიან დიდი ბარიერი და მე ვიტყოდი ჩვენი საგადასახადო სისტემის ქრონიკული თავის ტკივილი იყო დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნება და ჩვენ, შეიძლება ითქვას, მართლაც შეუძლებელი შევძელით. 1 წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენ ჩვენი მეწარმეებისთვის ნახევარ მილიარდ ლარზე მეტის დაბრუნებას შევძლებდით. წელს, 31 დეკემბრამდე, ჩვენი მეწარმეები დაიბრუნებენ ნახევარი მილიარდი ლარის ოდენობის თანხას ჩვენი ბიუჯეტიდან. ეს მართლაც უპრეცედენტო მოვლენაა. 2018-2020 წლებში ჩვენ ვგეგმავთ, მილიარდ-ნახევარი დავაბრუნოთ ჩვენი მეწარმეების სასარგებლოდ. ზაფხულიდან ამოქმედდა სრულიად უნიკალური შეღავათები ჩვენი მცირე მეწარმეებისთვის, ე.წ. 1%-იანი გადასახადი. ჩვენ ხუთჯერ შევამცირეთ გადასახადები მცირე მეწარმეებისთვის, რაც იყო უპრეცედენტო რეფორმა. სულ რამდენიმე თვეში უკვე გვაქვს ძალიან კარგი შედეგები – ორჯერ არის გაზრდილი ჩვენი მეწარმეების ბრუნვა, მაგრამ ესეც არ არის საბოლოო დონე.**

იხ. 4 გვ.

„არასამთავრობო სექტორი“, „გაერთიანებული ოპოზიცია“ – ფულზე დახარბებული ბრბო!

(მესამე გვერდიდან)

ახლა კი მთავარია, ყველაფერს დაერქვას ზუსტი სახელი და ბოლოს და ბოლოს ქვეყანაში დამყარდეს სიმშვიდე!

ხალხმა კიდევ ერთხელ აჩვენა ხელისუფლებას, რომ სწორი გადაწყვეტილების შემთხვევაში სრული მხარდაჭერა ექნება.

16 დეკემბერს გახარიამ ძალიან ზუსტად გაიგო ეს გზავნილი და მოიქცა აბსოლუტურად შესაბამისად. პროვოკატორებს მოუჭრა ყველა გზა, რაც მათ მისცემდა შესაძლებლობებს, მოეწყოთ მორიგი პროვოკაციები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც, რაც, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია და შეიძლება თქმა, რომ არის ერთადერთი ნაბიჯი იმ მონოპოლიისგან გასათავისუფლებლად, რაც დასავლურ სტრუქტურებში ნაცებს დიდი ხანია, ხელში აქვთ ჩაგდებული.

გახარიამ ამ მოცემულობაში შეასრულა არა მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის ფუნქცია, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ დანაყოფის მოვალეობაც, რომელიც დასავლურ სტრუქტურებში საქართველოს შესახებ ნამდვილი ინფორმაციის გავრცელებას უნდა ემსახურებოდეს.

მისი მესიჯი, რომ დაიწყო გამოძიება ყველა (ვიმეორებ – ყველა) დანაშაულისა და გადაცდომის შესახებ, არის პოზიცია, რომელიც მე პირადად მაძლევს იმედს, რომ დაისჯებიან არა მხოლოდ კრიმინალი დამნაშავე პროვოკატორები, არამედ ისინიც, რომლებიც შსს-ში არიან ჩაბუდებული და ცდილობენ სახელმწიფოს დისკრედიტაციას.

იმედი მაქვს, რომ კირკიტაძე არ იქნება ის ძვალი, რომელიც გადმოგვიგდეს და ყველა, აბსოლუტურად ყველა, რომლებიც ჩვენს მშვიდ ცხოვრებას და ახლად გაჩენილ პერსპექტივას არეულობით ემუქრებიან, კანონის სრული დაცვით დაისჯებიან.

გახარიას მიმართ ჩემი საკმაოდ დიდი პატივისცემის მიუხედავად (რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი შსს-ს გარკვეულ თანამშრომლებზე), უნდა გავიმეორო ის შეკითხვები, აქამდეც რომ ისმოდა და დღეს თავისი აქტუალობის პიკს მიაღწია: რატომ ხდება მოსალოდნელი პროვოკაციის პრევენცია და რატომ არ სჯით იმ დამნაშავეებს, რომელთა მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული არა მხოლოდ მოქალაქეების, პოლიციის მიმართ, აშკარად არის დადასტურებული უამრავი მოწმისა და ვიდეოკამერის წინ? შეგახსენებთ, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ პარიზში, ე.წ. „ყვითელი ჟილეტების“ აქციის დაწყებამდე, მოსალოდნელი პროვოკაციების თავიდან აცილების მიზნით, 25-ზე მეტი პირი დააკავეს.

უნდა შეგახსენოთ ის უზენაესი ჭეშმარიტება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაშია ჩაწერილი კანონის მიმართ ნებისმიერი მოქალაქის თანასწორობის შესახებ.

თქვენ ხართ საქართველოს სახელმწიფოს პოლიცია და არ ეკუთვნით ე.წ სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას, ე.წ. „გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციებს“, ან რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფს, რომლებიც თავის თავს „გაერთიანებულ ოპოზიციას“ რომ ეძახიან. პოლიცია, რომელიც გაურკვეველი ფორმულის, ე.წ. „პოლიტკორექტულობის“ გამო ზრუნავს იმაზე, რომ სალაძემ, გიგაურმა, ბენიძემ, ლომჯარიამ დ.ა.შ. მოიპოვონ მეტი გრანტი, რამდენიმე ადამიანის გაერთიანებამ იმუშაოს დასავლურ ინსტიტუტებში კრიმინალი სააკაშვილის იმიჯის ამაღლებაზე და ამ გზით გარკვეული ფინანსური სარგებლის მიღებაზე, სრულად უგულებელყოფს კონსტიტუციას და მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის კანონიერი მოთხოვნები, ვერასოდეს გახდება სახელმწიფოს შინაგანი უსაფრთხოების გარანტი.

საბედნიეროდ მჯერა, რომ მინისტრი აცნობიერებს იმ მართლაც უდიდეს საფრთხეს, რასაც მსგავსი პოზიცია გამოიწვევს და ძალიან მოკლე დროში (ძალიან მოკლე დრო არის რამდენიმე დღე) მიიღებს სრულიად შესატყვის გადაწყვეტილებას და გაატარებს შესაბამის ზომებს.

დამერწმუნეთ, რომ მოსახლეობის მხარდაჭერა სავსებით გარანტირებულია.

მხარდაჭერა, რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზემოთ ნახსენები ჯგუფების, თუ ისეთი დასავლური ორგანიზაციების შეშფოთება, როგორიც, მაგალითად, ევროპის სახალხო პარტიაა.

ძალიან ბევრჯერ დამიწერია – Carthago delenda est! (კართაგენი უნდა დაინგრეს!).

დიახ, უნდა დაინგრეს და, რაც ყველაზე მთავარია, ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი!

მოდით, ნუ „შეგვრცხვება“ და პირდაპირ ვთქვათ – არ არსებობს არანაირი „გაერთიანებული ოპოზიცია“. არ არსებობს, რადგანაც არ შეიძლება პარტია ერქვას ვინმე ხარატიშვილს, ვინმე მაჭუტაძეს, ვინმე დავითაიას და ა.შ. არ შეიძლება იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ ერთი ადამიანი ვერასოდეს ვერ იქნება პარტია.

პირდაპირ ვთქვათ, რომ არ არსებობს სამოქალაქო სექტორი. არ არსებობს, რადგანაც ის „ორგანიზაციები“, რომლებსაც ამ უაღრესად მნიშვნელოვან თემაზე მონოპოლია აქვთ დამყარებული, არ არიან არასამთავრობო ორგანიზაციები. არ არიან თუნდაც იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ არ ასრულებენ სამოქალაქო სექტორის უმთავრეს დანიშნულებას – ხელი შეუწყონ სახელმწიფოს განვითარებას და ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში, როცა სახელმწიფო ყალიბდება, არ ეცადონ ყველა დემოკრატიული პრინციპისთვის ძირის გამოთხრას.

არ არსებობს დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარი – სახალხო დამცველის ინსტიტუტი.

არ არსებობს თუნდაც იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ დღევანდელი მოცემულობა ნათლად გვაჩვენებს მის ორმაგ სტანდარტებს და უმთავრესი სახელმწიფოებრივი პროცესების სრულ უგულებელყოფას.

არ არსებობს თავისუფალი მედია. არ არსებობს იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ ერთადერთი ტელეკომპანიისა და ბეჭდური მედიის გარდა, სავსებით ყველა საინფორმაციო საშუალება მორგებულია ანტისახელმწიფოებრივი მედიასაშუალების ფორმატს.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში **არ არსებობს სახელმწიფო სტრუქტურების მეორე, ანუ შემსრულებელი რგოლი.** არ არსებობს თუნდაც იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ მათი უმრავლესობა სუნთქავს ერთი პრინციპით – ოღონდ არაფერი გავაფუჭო და არაფერს გავაკეთებ.

არ სჭირდება დიდი დაფიქრება იმას, რომ ეს ყველაფერი მოქცეულია ერთი პოლიტიკური ძალის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სრული კონტროლის ქვეშ და ასეთი დანაწევრება მიმართულია საზოგადოების, მოსახლეობის ყურადღების გასაფანტად.

აგებულია პირამიდული სისტემა, რომლის თავშიც ზის ნაციონალური მოძრაობა თავისი გახრწნილი იდეოლოგიითა და მსოფლმხედველობით. ის, თუ საიდან მოდის ეს ყველაფერი, რუსეთიდან, თუ დასავლეთიდან, სხვა თემაა.

დღეს, როდესაც გვყავს პრეზიდენტი, ანუ უმაღლესი ტრიბუნა (დიახ, სწორედაც ხალხს აქვს ეს ტრიბუნა სალომე ზურაბიშვილის სახით, რადგანაც ის სწორედაც რომ ხალხმა აირჩია) უმნიშვნელოვანესია, რომ პირდაპირ ვთქვათ – ვამბობთ გაერთიანებულ ოპოზიციას, ვამბობთ სამოქალაქო სექტორს, ვამბობთ სახალხო დამცველს, ვამბობთ ადმინისტრაციული რესურსის მეორე რგოლს, ვამბობთ ტელემედიას – ვგულისხმობთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას!

Carthago delenda est! **კართაგენი უნდა დაინგრეს!**

ძალიან საინტერესო და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ პოლიტიკური მოღვაწეების მენტალობა, მათი არა მხოლოდ ყვითელი პრესისთვის მისაღები სახე, არამედ მათი შინაგანი სამყარო. ვიცოდეთ ის, თუ რითი სუნთქავს ეს ხალხი და რას უნდა ველოდეთ მათგან.

თუ ხართ ვინმე ფსიქოლოგი და ერკვევით ქვეცნობიერში, ფროიდის, იუნგის, ზახერ-მაზოხის თეორიებში, გთხოვთ შეაფასოთ პოლიტიკოსები და ქმედებები.

ასევე ძალიან საინტერესოა ნაცების შინაგანი კომპლექსების გამომწვევი მიზეზები.

იმ კომპლექსების, რომლებმაც გრიგოლ ვაშაძეს თბილისის მერის კახი კალაძის მისამართით რამდენიმე როყიო ფრაზა წამოაროშინა.

ხუთი თვეა, ვიმეორებთ, რომ ყველაფერი კონსტიტუციურ ფარგლებში იქნება და თუ ჰგონია (კახა კალაძეს), რომ შეურაცხყოფას მაყენებს გინებით, შეურაცხყოფა მარტო თანასწორს შეუძლია მომაყენოს“, – თქვა გრიგოლ ვაშაძემ..

მართალი ხარ „ღრიღორი“. შეურაცხყოფა მართლა თანასწორს შეუძლია რომ მოგაყენოს, მაგალითად, ხაბეიშვილს.

აი, კალაძე კი დაგცინის. დაგცინის იმიტომ, რომ სასაცილო ხარ.

გეცოდინება ასეთი კლოუნი „კარანდაში“. გუშინწინ მისი დაბადების დღე იყო. იმ კლოუნის მიერ შესრულებული როლების გმირიც კი არ ხარ. არ ხარ იმიტომ, რომ ისინი შენგან განსხვავებით კეთილი გმირები იყვნენ.

შენ უფრო რაიკინის პერსონაჟებს ჰგავხარ. ხარბებს, მატყუარებს, ლოთებს, დამსმენებს, ნაძირალებს. იმათ, ვისაც ხალხი დასცინოდა. დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდობაში, როცა რაიკინს უყურებდი, ქვეცნობიერში ბრაზდებოდი. ბრაზდებოდი და არ იცოდი რატომ.

ახლა გეტყვი – მის გმირებში შენს თავს ხედავდი და გიტყდებოდა. ეგაა და ეგ.

რაც შეეხება ამ არსების მიერ ჩატარებულ გამოხდომებს და დაანონსებულ „გადატრიალებას“ (რაზეც კალაძემ თავისი განცხადება გააკეთა) და რაც არ გამოუდის, ვიტყვი: ბევრს გემახსოვრებათ: ერთხელ მიჰამ მაშინდელ თავის ხელისუფლებაზე და მაშინდელ ოპოზიციურ სპექტრზე თქვა – მე რომ დღეს ოპოზიციაში ვიყო, ამ ხელისუფლებას სამ თვეში დავამხობდიო.

დამერწმუნეთ, რომ ის სავსებით მართალი იყო.

საყურადღებოა, რა ხდება დღეს და რატომ ვერ ახერხებს მიჰა მისი „მოქმედი“ ხელისუფლებისგან განსხვავებით, „უნიათო“ ხელისუფლების დამხობას.

ეს მართლაც და საყურადღებო თემა რამდენიმე მიმართულებით უნდა განვიხილოთ:

1. ის მდგომარეობა რაც მაშინ ქვეყანაში იყო და რისი გამოყენებაც მიჰას (როგორც ოპოზიციონერს) შეეძლო, ნამდვილად აღარ არის. იმ პიარს, რომ სახელმწიფოში არაფერი არ კეთდება, მიუხედავად რ2-ის აქტიური მცდელობისა, აღარავინ იჯერებს.

მაგალითისთვის გეტყვით, რომ, თუ მაშინ „ახალი“ საავადმყოფოს „გახსნის“ დროს, ვიღაც პლაშჩიან და ფეხსაცმელებიან ტიპს პალატაში დააწვენდნენ და ისიც ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა გაწუხებთო, პასუხობს – წნევამ ამიწიაო, დღეს ხალხი თავად ხედავს, თუ რამდენი კილომეტრი გზა დაიგო, რამდენი ადამიანი ხვდება ახალ წელს ახალი პერსპექტივით, რამდენი სკოლა უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად ხელახლა დაიბადა და რამდენ სოფელს მიეცა საშუალება, ხელახლა აღორძინდეს (გასაგებია, რომ ეს ინფორმაცია ჩვენამდე მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, კარგა გვარიანი დაგვიანებით მოვიდა, მაგრამ ხომ მოხდა!), პოტიომკინის სოფელივით ვერ დაუპირისპირდები;

2. თავად მიჰა აღარ არის ლიდერი. აღარ არის ის ლიდერი, ვისაც რამდენიმე გონებადაბინდული ქალბატონის გარდა, ვინმე მართლა გულით და რეალურად გაჰყვება;

ეს თავადაც კარგად იცის. მისდა საუბედუროდ, ისიც იცის, რომ ვითომდა „გაერთიანებული ოპოზიცია“, თავისი მნიშვნელობით, ფორტეპიანოზე დალაგებულ სპილოებსაც ვერ შეედრება.

3. ისმის მოწოდებები (ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის, ლიდერისთვის საკმაოდ „მადისაღმძვრელი“) – მიჰა ჩამოდი!. დიახ, ეს მოწოდება მართლაც სასურველი და საოცნებოა. საოცნებოა, რადგანაც ის მაშინვე, როგორც კი თვითმფრინავის ტრაპზე ავა, ხდება ბელადი, უპირობო ლიდერი, იდეასა და სამშობლოს შეწირული კაცი, მაგრამ...

აი ეს „ოხერი“ „მაგრამ“.

მიჰაში არსებული თვითგადარჩენის ინსტინქტი ზუსტ მესიჯს აძლევს – არ ჩამოხვიდე!

ეს ხშირ შემთხვევაში მის ბუნებრივ სიმხდალეს ბრალდება (რაც გარკვეულწილად საკმაოდ დიდ როლს თამაშობს), მაგრამ არის უმთავრესი მიზეზი: მიჰას ჩამოსვლის და მისი უცილობლად დაკავების შემდეგ არა მხოლოდ ქართული, არამედ უმთავრესად საერთაშორისო მედიის და საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო სრულად გასაჯაროვდება მისი ნამდვილი სახე. გასაჯაროვდება მისი სატელიტების, ე.წ. „სამოქალაქო სექტორის“, ე.წ. „სახალხო დამცველის“, მედიის საქმიანობის რეალური ფორმატი.

და უმთავრესი – გასაჯაროვდება იმ დასავლური ინსტიტუტების ქმედება, რომლებმაც ფსონი არასწორ მსოფლმხედველობაზე გააკეთეს, მის შემსრულებლად ავანტიურისტი მოძებნეს და თავიანთი ამომრჩევლის მიერ გადახდილი თანხები ფაქტობრივად იმ იდეოლოგიის დამარცხებაში დახარჯეს, რისი პოპულარიზაციის გამო ის თანხები მიიღეს. დასავლეთში კი მოსახლეობის მიერ ბიუჯეტში შეტანილ თანხებს დაახლოებით ისე უფრთხილდებიან, როგორც მლოცველი მისთვის მინდობილ ხატს.

დაბოლოს – გუნდი. გუნდი, რომლსაც ის უნდა დაეყრდნოს. მოდით, უბრალოდ ჩამოვთვლი: ვაშაძე, მელია, ხაბეიშვილი, კირკიტაძე, ბოკუჩავა თავის კოტიკოსთან ერთად, გავაგრძელო? და დამერწმუნეთ მიჰა ამას ძალიან კარგად ხედავს. კიდევ ბევრ ნიუანსზე შეიძლება ყურადღების გამახვილება, მაგრამ ამ ერთ მასალაში მაგის დრო არ არის.

დაბოლოს, ვერანაირად ვერ გავიგე რას ნიშნავს ამ პოლიტიკანების მიერ თითქმის ყველა პოლიტიკური სიტუაციის დროს გამოყენებული სიტყვა – მოთამაშე!

რას ნიშნავს „მოთამაშე“?

დოსტოევსკის რომანის გმირი ხარ თუ მარადონა?

გაგვაგებინეთ, რას თამაშობთ, „არიოლრეშკას“ თუ გრძელ ვირს?

უკაცრავად, მაგრამ – ეთამაშეთ ბებიებს!

შევარდნაძემ უთხრა ერთხელ ზურაბ ჟვანიას ამ ტერმინთან მიმართებაში – თამაშის დრო არ არისო (ცხადია, ზუსტ ციტირებას ვერ ვახდენ, მაგრამ თემა ეს იყო).

„მთავარი მოთამაშე“, „პოლიტიკური თამაში“, დ.ა.შ. რა სისულელეა!!! წესიერად გველაპარაკეთ და კიდევ ერთხელ ვიტყვი – ეთამაშეთ ბებიებს! საქმე გააკეთეთ! საქმე!

ჯერ ადამიანური საუბარი ისწავლეთ და ხალხს, ანუ თქვენს „ენაზე“ ელექტორატს მერე გვესაუბრეთ!

ალბათ, კართაგენის დანგრევა იქიდან უნდა დაიწყოს, რომ პოლიტიკოსებმა ხალხთან ნორმალური საუბარი ისწავლონ.

გია გაბრიჭიძე

განსაკუთრებული ურთიერთობა და უკუკავშირი ჩვენს მოსახლეობასთან.

აი, ჩვენი აბსოლუტური პრიორიტეტი

(მეორე გვერდიდან)

დარწმუნებული ვარ, ამ რეფორმების შემდეგ მცირე მეწარმეების რაოდენობა კიდევ უფრო მეტად გაიზრდება და მომდევნო წელს მინიმუმ გაორმაგდება.

ჩვენ გვაქვს სხვა ინოვაციური რეფორმებიც – მაქსიმალურად ვცდილობთ, შევამციროთ ბიუროკრატია. საქართველო იქნება პირველი ქვეყანა, რომელიც 2019 წლის პირველი იანვრიდან ერთიან საგადასახადო დოკუმენტზე გადავა. ჩვენ ვართ მოწადინებული, რომ გადასახადების დონე, განსაკუთრებით ჩვენი მცირე მეწარმეებისთვის კიდევ უფრო შემცირდეს. ბოლო კვლევების თანახმად, საქართველო, დაბალი გადასახადების თვალსაზრისით, მსოფლიოს ხუთეულში შედის.

ჩვენი მცირე ეკონომიკიდან გამომდინარე, ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მოვახდინოთ საქართველოს ეკონომიკის კიდევ უფრო ეფექტური ინტეგრაცია გლობალურ ეკონომიკაში და ამ თვალსაზრისით, საქართველო მართლაც გახლავთ ყველაზე წარმატებული ქვეყანა. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა ჩვენს რეგიონში, ვისაც აქვს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი როგორც ევროკავშირთან, ისე – ჩინეთთან. ამავე დროს, ჩვენ გვაქვს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი ყველა მეზობელ ქვეყანასთან. ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სავაჭრო ურთიერთობები განვავითაროთ ევროკავშირთან. ამ თვალსაზრისითაც, 2018 წელი იყო განსაკუთრებით წარმატებული. მხოლოდ ევროკავშირში ექსპორტი მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში 11%-ით გაიზარდა.

დღეს, 20 დეკემბერს, პარიზში ხელი ეწერება უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც ჩვენ ავიღებთ ვალდებულებას, რომ 2019 წელს მოვახდენთ ჩვენი კანონმდებლობის სრულ ადაპტირებას საერთაშორისო არბიტრაჟისთვის, რაც ნიშნავს იმას, რომ თბილისი, პარიზის მერე იქნება მეორე ქალაქი ევროპაში, სადაც იფუნქციონირებს საერთაშორისო, ყველაზე უფრო მაღალი რეპუტაციის მქონე კომერციული არბიტრაჟი. ეს იქნება ძალიან დიდი წინაპირობა იმისთვის, რომ საქართველო ვაქციოთ რეგიონის ეკონომიკურ ცენტრად.

ბუნებრივია, ვერც ერთი ეკონომიკური რეფორმა ვერ იქნება წარმატებული, თუ ჩვენ უზრუნველყოფილი არ გვაქვს სტაბილურობა და უსაფრთხოება.

თავდაცვის მიმართულებით რეფორმები 2018 წელს იყო განსაკუთრებით წარმატებული და ეს ძალიან კარგად აისახა ნატოს ყოველწლიურ სამიტსა და იმ დოკუმენტში, სადაც დაფიქსირდა ჩვენი პროგრესი. მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენი რეფორმათა პაკეტი, ითვალისწინებს გაცილებით მეტს და მთავარს – ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი პოტენციური აგრესიის თავიდან ასაცილებლად და ქვეყნის დასაცავად.

მინდა, განსაკუთრებით გამოვყო ტოტალური თავდაცვის რეფორმა, რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისთვის, რომ საქართველო იყოს უფრო მეტად დაცული და წარმატებული. ჩვენი გმირი ჯარისკაცები განაგრძობენ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობას და გმირულად ასრულებენ თავიანთ როლს, პასუხისმგებლობას. სწორედ, ქართველი ჯარისკაცები ითვლებიან ყველაზე უფრო წარმატებულ და პროფესიონალ ჯარისკაცებად. ეს არ არის მხოლოდ ჩემი შეფასება, ეს არის ჩვენი პარტნიორების შეფასება. ჩვენ, ბუნებრივია, განვაგრძობთ ამ პროგრამას, მაგრამ გვინდა, კიდევ უფრო მეტი დრო, მეტი რესურსი დავუთმოთ სოციალურ საკითხებს ჩვენი ჯარისკაცებისთვის.

მიმდინარე წელს უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჯანდაცვის ნაწილი. ჩვენ გავხსენით ქუთაისში ძალიან მნიშვნელოვანი სამედიცინო ცენტრი ჩვენი სამხედროებისთვის. მომავალ წელს, აშშ-ის დახმარებით, საქართველოში გაიხსნება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სამედიცინო ცენტრი. ამავე დროს, განსაკუთრებული აქცენტი ჩვენ გვსურს გავაკეთოთ სხვა სოციალურ პროექტებზე. 2019-2020 წლებში ხელფასი წოდების მიხედვით 7 526 სამხედროს გაეზრდება, ამავე დროს 1 634 ქართველი სამხედრო დაკმაყოფილდება ბინით.

ტერორიზმი არის ყველაზე დიდი გამოწვევა მსოფლიო თანამეგობრობისთვის. ჩვენ საერთაშორისო მედიაში ყოველდღიურად ვადევნებთ თვალყურს, რომ ეს გამოწვევა ყოველდღე უფრო და უფრო მტკივნეული ხდება. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი უწყებები, რომლებიც იცავენ საქართველოს უსაფრთხოებას, მართლაც უმაღლეს დონეზე ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ყველა პარტნიორი ქვეყანა აღნიშნავს მათ ძალიან მაღალ პროფესიონალიზმს.

ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და ჩვენს პოლიციელებს, 13 200 ადამიანს გავუზარდეთ ხელფასი. ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური პროექტები ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროში. 5 ქალაქში – თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში ხორციელდება შეღავათიანი ბინათმშენებლობის პროექტები.

ბოლო კვირების განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახა, თუ როგორი პროფესიონალებით არის დღეს ქართული პოლიცია დაკომპლექტებული. ძალიან მაღალი პროფესიონალიზმი გვაქვს შინაგან საქმეთა სამინისტროში და ძალიან დიდი თავდადება და პატრიოტიზმი საქართველოს, მისი მთავარი ინტერესების დასაცავად. მსურს, კიდევ ერთხელ განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩვენს პოლიციელებს იმ თავშეკავებისთვის, იმ ძალიან მაღალი პროფესიონალიზმისთვის, რასაც ისინი ყოველდღიურ საქმიანობაში გვაჩვენებენ თითოეულ ჩვენგანს, ქართველ საზოგადოებას.

განსაკუთრებულ პრიორიტეტს წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის კომპონენტის გაძლიერება შინაგან საქმეთა სამინისტროში და შესაბამისი დეპარტამენტიც შეიქმნა. ყველა ეს წარმატება სახეზეა და აისახება თითოეულ რეიტინგში, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამით დაკმაყოფილებას არავინ აპირებს.

დემოკრატიის მშენებლობის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის ჩართულობას განმსაზღვრელი როლი აქვს, განსაკუთრებით ჩვენი დემოკრატიისთვის, რათა უზრუნველვყოთ ქვეყნის სწორი და ჰარმონიული განვითარება.

2017-2018 წლებში საქართველო იყო ღია მმართველობის პარტნიორობის თავმჯდომარე ქვეყანა და ეს იყო ძალიან დიდი წარმატება, ვინაიდან, ღია მმართველობა, როგორც პრინციპი, გახლავთ ჩვენი პოლიტიკური გუნდის განუყოფელი ნაწილი და ჩვენი ხედვის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი. ჩვენ გვსურს, კიდევ უფრო წარმატებულები ვიყოთ ამ მიმართულებით. სწორედ, აქედან გამომდინარე, რამდენიმე დღის წინ, როდესაც ჩვენ ვმასპინძლობდით აღმოსავლეთ პარტნიორობის ღონისძიებას საქართველოში, მე გავაჟღერე კიდევ ერთი ინიციატივა – ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში, საქართველოს მთავრობა, პარლამენტი, სასამართლო და ადგილობრივი თვითმმართველობა, წელიწადში ერთხელ და შეიძლება ორჯერაც, შევიკრიბოთ სამოქალაქო სექტორთან ერთად და კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ კოორდინაციის ხარისხი გვაქვს ძალიან მაღალი და ის რეფორმები, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ, ემსახურება იმ მიზნებს, რომელიც დღეს აქვს დასახული საქართველოს. ვფიქრობ, ეს ფორმატი საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო წარმატებულები ვიყოთ ამ ძალიან მნიშვნელოვან გზაზე.

ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის ადამიანი მუდამ იყო, არის და იქნება მთავარი ფასეულობა. 2012 წლიდან, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რაც ჩვენ გადავდგით, იყო ის, რომ მნიშვნელოვნად გაგვეზარდა ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების ბიუჯეტი. წელს უკვე ჩვენ მივაღწიეთ ფაქტობრივად ისტორიულ მაქსიმუმს და მილიარდ ლარზე მეტი გვაქვს გამოყოფილი ჩვენი ჯანდაცვის სექტორისთვის. ჯანდაცვის პოლიტიკა, ერთი მხრივ, აქცენტირებულია პრევენციულ ღონისძიებებზე, ადრეულ დიაგნოსტიკაზე, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ ვცდილობთ, ყველა სხვა პროგრამა კიდევ უფრო განვავითაროთ და ახალი პროგრამები დავამატოთ ჩვენს საყოველთაო ჯანდაცვას. უპრეცედენტოდ წარმატებული აღმოჩნდა საქართველო C ჰეპატიტთან ბრძოლაში. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა დღეს, რომელსაც აქვს ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ C ჰეპატიტის ელიმინაცია სრულად მოხდეს. ჩვენ მნიშვნელოვნად გავზრდით ჩვენს აქტივობას ამ ნაწილში და დამერწმუნეთ, 2019 წელი იქნება კიდევ უფრო წარმატებული. ჩვენ მნიშვნელოვნად დავაკორექტირეთ სოციალური დაცვის პოლიტიკაც. UNICEF-ის კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ხარვეზები გვქონდა. მომავალი წლიდან, 16 წლამდე სოციალურად დაუცველი ბავშვების ოჯახები ყოველთვიურად მიიღებენ 50 ლარს. მომავალი წლიდან ჩვენი პენსიონერების პენსია გაუტოლდება 200 ლარს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჩვენი მოქალაქეების და ბავშვების სოციალური პაკეტები გაიზრდება 20 ლარით. გაიზრდება ამავე დროს სოციალური პაკეტი მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვისაც დახმარებები მნიშვნელოვნად გაიზრდება. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ დემოგრაფიას. ჩვენ მნიშვნელოვანი პრობლემები გვაქვს დემოგრაფიაში და გვექნება პროგრამები, რითაც ხელს შევუწყობთ ახალგაზრდებს, რომ მათ თავიანთი საოჯახო პრობლემები და გამოწვევები უფრო ადვილად დაძლიონ, რაც თავის მხრივ, დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრაში დაგვეხმარება.

სოციალურ პოლიტიკაში ჩვენ გვქონდა გარკვეული მიმართულებები, რომლებიც დახვეწას მოითხოვდა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც 2019 წლის იანვრიდან შევა ძალაში. სოციალური დახმარების მიმღებ ნებისმიერ ადამიანს, მუშაობის დაწყების შემთხვევაში, ერთი წლის განმავლობაში არ შეუწყდება სოციალური დახმარება. ვფიქრობ, რომ ეს რეფორმა დაგვეხმარება იმაში, რომ უმუშევრობის დონე საქართველოში კიდევ უფრო შევამციროთ.

ვაგრძელებთ ძალიან მნიშვნელოვან პროექტებს, რომელიც გულისხმობს ჩვენი დევნილებისთვის სახლების მშენებლობას და ბინებით უზრუნველყოფას. 491 დევნილ ოჯახს ახალაშენებულ კორპუსში გადაეცა ბინა. 623 დევნილი ოჯახისთვის შესყიდული იქნა სახლები. იპოთეკური სესხები დაეფარა 116 დევნილ ოჯახს. ამ თვალსაზრისით ჩვენი პროგრამა მომავალ წელს კიდევ უფრო მასშტაბური იქნება. 2019 წელს 1100 დევნილ ოჯახს ჩვენ გადავცემთ ახალაშენებულ ბინას. 1500 ოჯახს საკუთრებაში გადაეცემა საცხოვრებელი ფართები, ხოლო თითქმის 3000 დევნილი ოჯახი მიიღებს ახალ საცხოვრებელ სახლს.

* * *

ინფრასტრუქტურაში **გასულ წელს ჩვენ მივაღწიეთ ჩვენი ინვესტიციების მაქსიმუმს, ხოლო 2019 წელი მასზე გაცილებით მეტი იქნება. 2018 წელს ჩვენ გავხსენით ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები. კერძოდ, ქობულეთის 18-კილომეტრიანი შემოვლითი გზა, რომლის ერთ-ერთი ხიდი, მართლაც უნიკალური საინჟინრო ნაგებობაა. მომავალ წელს დაიწყება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთზე აქტიური სამშენებლო სამუშაოები. დაიწყება ძალიან მნიშვნელოვანი და საინჟინროდ ყველაზე რთული პროექტები რიკოთის უღელტეხილზე, რომელიც გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ადგილი ჩვენი ინფრასტრუქტურისთვის.** ჩვენ გვჭირდება კონკურენტუნარიანი ინფრასტრუქტურა და დარწმუნებული ვარ, რიკოთის უღელტეხილზე ამ პროექტის რეალიზაციის შემდეგ ჩვენი, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ძალიან მაღალი იქნება. ვგულისხმობ, როგორც რკინიგზის, ასევე – ავტობანის მშენებლობას, რომელიც ოთხი სეზონის განმავლობაში უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს. მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ძალიან დაგვეხმარება ტურიზმის განვითარებაში. სტეფანწმინდაში დასრულდა გერგეთის სამებამდე მისასვლელი ახალი გზა. ტურისტების ნაკადიც არ წყდება და განსაკუთრებით მიხარია, რომ თვალსაჩინოა, ინფრასტრუქტურული პროექტები როგორ ავითარებს ეკონომიკას.

2018 წელს თუ შევაჯამებთ, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 210 კილომეტრ გზას, 20 ხიდს და დასრულდა 17 ნაპირსამაგრი პროექტი. წელს დასრულდა საქართველოს ისტორიაში ყველაზე უფრო მასშტაბური დევდორაკის თითქმის 2-კილომეტრიანი გვირაბის მშენებლობა, რომელიც მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის.

იხ. 8 გვ.

BBC - მსოფლიოში შრომითი მიგრანტების რაოდენობამ 164 მილიონს გადააჭარბა

მშენებლები, ბანკირები, მუსიკოსები, ტაქსისტები — შრომითი მიგრანტების არმია იზრდება, და ამ დროისთვის გლობალურ მასშტაბში 164 მლნ. ადამიანს შეადგენს, ამ რიცხვში არ შედიან არალეგალები.

ამ ადამიანების ორი მესამედი გადაბარგდა მდიდარ ქვეყნებში, სადაც ყოველი მე-5 დასაქმებული — უკვე უცხოელია.

მიგრანტებს შორის დასაქმება იზრდება, ადგილობრივებში კი უმუშევრობა — ამის საპასუხოდ, იმ ქვეყნების მთავრობები ამკაცრებენ საიმიგრაციო პოლიტიკას, შედეგად კი შრომითი მიგრაციის ზრდის ტემპები მოწინავე ქვეყნებში შენელდა, ამიტომ უცხოელების ნაკადი გადავიდა საშუალო დონის ქვეყნებზე, ამაზე მეტყველებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევა.

დიდი რაოდენობით მიგრანტები გაჩნდნენ ისეთ ქვეყნებში, როგორც ჩინეთი, ბრაზილია, რუსეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთიც კი.

საიმიგრაციო რუკაზე ახალი მიმართულებების გაჩენის მიუხედავად, დღეისთვის მაინც დიდი ნაწილი ირჩევს დასავლეთის ქვეყნებს — ევროპას და ჩრდილოეთ ამერიკას. მეწარმეებს იზიდავს ბიზნესკლიმატი, ფინანსური შესაძლებლობები და ინტელექტუალური ბაზა.

რიგითი თანამშრომლები კი დასავლეთში ეძებენ მაღალ ხელფასებს, სამუშაო ადგილებს და კარიერული ზრდის საშუალებებს. მიგრანტთა 68% მდიდარ და განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, რაც შრომის ბაზრის ლიბერალიზაციით აიხსნება, პირველ რიგში ევროკავშირში, სადაც თითქმის 500 მლნ. ადამიანს შეუძლია 28 ქვეყანაში შეუზღუდავად გადაადგილდეს. ამას აქტიურად უყენებენ ევროკავშირის შედარებით ღარიბი ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც უფრო მდიდარ ქვეყნებში მუშაობენ. შესაბამისად, გამოდის სხვაობა ციფრებში — საშუალოდ, მსოფლიოში, მიგრანტებზე მოდის სამუშაო ძალის 5%, მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში — უკვე 185%.

მიგრანტები და ლტოლვილები

ფართოდ გავრცელებული წარმოდგენის საპირისპიროდ, მიგრანტთა მხოლოდ 7% არის ლტოლვილი, მათი უდიდესი ნაწილი კი — 60%, სწორედ შრომითი მიგრანტია. წინა კვლევის შემდეგ გავიდა უკვე 10 წელი და ამ პერიოდში მიგრანტების რაოდენობა 10%-ით გაიზარდა.

სარგებელი თუ ზიანი?

მიგრანტთა 90% არის 25-დან 64 წლამდე ასაკისა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნები კარგავენ თავიანთი მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდ ნაწილს, რაც ცუდად აისახება მათ ეკონომიკურ განვითარებაზე.

მეორე მხრივ, მიგრანტები დიდი რაოდენობით აგზავნიან ფულს საკუთარ ქვეყნებში, რაც ეხმარება ღარიბ სახელმწიფოებს ვალუტის მარაგების ზრდაში და მოსახლეობის დიდი ნაწილის სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

მიგრანტების მიმღებ ქვეყნებშიც არაა ერთგვაროვანი შეფასებები — ერთის მხრივ — იქ ჩადიან ყველაზე მშრომელი და ბეჯითი უცხოელები, მეორე მხრივ — იზრდება ადგილობრივების უკმაყოფილება უცხოელების რაოდენობის მკვეთრი ზრდის გამო.

ყველაზე მეტად აღშფოთებულები არიან მდიდარი ქვეყნების მცხოვრებლები. სტატისტიკას თუ შევხედავთ, გასაგები ხდება რატომაც — ამ ქვეყნებში მიგრანტებზე მოდის შრომითი ძალის 18,5%, თანაც მათ აქვთ დასაქმების მეტი შანსები — ჩასულთა შორის ეკონომიკური აქტიურობა შეადგენს 70%-ზე მეტს, მაშინ როდესაც ადგილობრივებში - 60%-ზე ნაკლებს.

BBC.COM

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიგრაციული პაქტი მიიღო

აღნიშნული დოკუმენტის სასარგებლოდ ხმა გაეროს 152-მა წევრმა სახელმწიფომ მისცა, წინააღმდეგ კი 5 სახელმწიფო გამოვიდა — უნგრეთი, ისრაელი, პოლონეთი, ჩეხეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.

გენერალური ასამბლეის პრეზიდენტის მარია ესპინოსასა თქმით, დოკუმენტი არ ატარებს იურიდიულად სავალდებულოდ შესასრულებელ ხასიათს და ის არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოების სუვერენიტეტს. დოკუმენტი შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ერთობლივი ნაბიჯების გადადგმისკენ და თანამშრომლობისკენ მოუწოდებს. შეგახსენებთ, 10 დეკემბერს მაროკოს ქალაქ მარაკეშში, მიგრაციის შესახებ კონფერენციაზე, მიგრაციის პოლიტიკის შესახებ გაეროს შეთანხმებას 164-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა. მიგრაციის შესახებ 34-გვერდიანი შეთანხმება საერთაშორისო მიგრაციისადმი ერთობლივ მიდგომას ადგენს და ლტოლვილთა ნაკადის მართვისა და მათი უფლებების განსასაზღვრად 23 პუნქტს მოიცავს.

მაღალი ხელფასები - კაცებს, დაბალი პოზიციები - ქალებს...

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2018 წელს საშუალო ხელფასი იზრდებოდა და მესამე კვარტალში ის 1125,5 ლარი გახდა.

ამავე მონაცემებით, ქალების შრომა დაახლოებით 500 ლარით იაფი ღირს, ვიდრე კაცების და განსხვავება ხელფასებს შორის პირდაპირპროპორციულია ხელფასების ზრდისა.

მაგალითად, 2014 წლის პირველ კვარტალში, როცა საშუალო ხელფასი 795 ლარი იყო, ქალები 370,8 ლარით ნაკლებ ხელფასს იღებდნენ კაცებთან შედარებით.

დისბალანსის ერთ-ერთი მიზეზი ხელფასების ზრდის უფრო ნელი ტემპია: მაშინ, როცა კაცს წლიურად ხელფასი 66,9 ლარით ეზრდება, ქალის ანაზღაურება მხოლოდ 42,5 ლარით იზრდება.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, სამსახურში გენდერული დისბალანსის აღმოსაფხვრელად მსოფლიოს 202 წელი დასჭირდება, თუ ამ ტემპით გააგრძელებს ცვლილებას. ევროპული ქვეყნების უმეტესობა ამ მიზანს გაცილებით ადრე, 108 წელიწადში მიაღწევს.

როგორ ითვლება საშუალო ხელფასი საქართველოში?

„ხელფასების დაანგარიშებისას ჩვენ მოვიცავთ ეკონომიკის ყველა სექტორს, გარდა შინამეურნეობების სექტორებისა, ანუ ყველაფერს, სადაც გვხვდებიან დაქირავებული თანამშრომლები“, — გვიხსნის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე **გოგიტა თოდრიძე**.

საშუალო ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს არამხოლოდ უშუალოდ ხელფასი, არამედ პრემიები, დანამატები, დახმარებები.

რით აიხსნება განსხვავებული ხელფასები ქალებისა და კაცებისთვის?

საქსტატის წარმომადგენელი გოგიტა თოდრიძე ფიქრობს, რომ ქალებისა და კაცების ხელფასებს შორის სხვაობა შესაძლოა, გამოწვეული იყოს ორი ფაქტორით: პირველი — დანამატებს და პრემიებს უფრო ხშირად კაცები იღებენ; მეორე — ქალები ძირითადად განათლების სფეროში მუშაობენ, სადაც ტრადიციულად ანაზღაურება სხვა სფეროებთან შედარებით დაბალია. ეს ორი ფაქტორი წევს საშუალო ხელფასს დაბლა.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ მომზადებული კვლევის მიხედვით, რომელიც სამუშაო ადგილებში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად, „დასაქმებული ქალები უმეტესად დაბალკვალიფიციურ საქმეს ასრულებენ, მიუხედავად მათი განათლების ხარისხისა. უდიდესი ნაწილი წარმოდგენილია არა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე, არამედ ქვედა რგოლის მუშაკად. მართალია, ქალები ხშირად ყველაზე შრომატევად საქმეს ასრულებენ, მაგრამ ისინი ნაკლებად ჩანან და ნაკლებად ხდება მათი დაწინაურება თავიანთი შრომისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.“ ამავე კვლევის თანახმად, „როდესაც საქმე ანაზღაურებას ეხება, დამატებითი საათების ანაზღაურების ჩათვლით, ყოველ მეხუთე ქალს უგრძნია უთანასწორო მოპყრობა.“

გაეროს მოსახლეობის ფონდის ინიციატივით პარლამენტისთვის შედგენილ დოკუმენტში, რომელიც **გენდერული თანასწორობის მისაღწევად არსებულ ბარიერებს და გამოწვევებს შეეხება, წერია, რომ არათანაბარი ხელფასი ერთადერთი პრობლემა არ არის, რაც დასაქმებულ ქალებს სამსახურებში ექმნებათ.**

„დისკრიმინაციის მრავალ ფორმას შორისაა: „შუშის ჭერის“ არსებობა სხვადასხვა სექტორში, ქალების კონცენტრაცია დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე, სამსახურიდან დისკრიმინაციული გათავისუფლება, ღიად დისკრიმინაციული განცხადება ვაკანსიის შესახებ და კანონმდებლობის არარსებობა, რომელიც უზრუნველყოფდა თანაბარ ანაზღაურებას თანაბარი ღირებულების შრომისთვის. “

ჯერ ვინ უნდა გაძლიერდეს, ეკონომიკა თუ ქალები?

სოციოლოგი **ანა დიაკონიძე** თვლის, რომ **„ეკონომიკური განვითარება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ქალთა გაძლიერებისათვის, ის პროგრამები კი, რომლებიც სპეციალურად ქალებისთვის არის შექმნილი და მათ ეკონომიკური გაძლიერებისკენ არის მიმართული, იშვიათად თუ აღწევს მიზანს...**

ეკონომისტი **ირაკლი მაკალათია** კი ამბობს, რომ „თანასწორობის მისაღწევად საჭიროა შრომის ბაზრის განვითარება, დასაქმების დონის გაზრდა, ბევრი სამუშაო ადგილის შექმნა და კონკურენცია, რომელიც ბუნებრივად შექმნის გარემოს, სადაც ქალებს და კაცებს დასაქმების თანაბარი შანსი ექნებათ. ახლა კი, ჭარბი მოწოდების შემთხვევაში დამსაქმებელს აქვს ფუფუნება, ეძებოს ისეთი კადრები, რომლებიც მის პირობებს დათანხმდება. დღეს მოთხოვნა ძირითადად მაინც დაბალკვალიფიციურ პერსონალზეა“.

როგორ ცდილობს საქართველო ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას?

ძალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით საქართველოს რიგი ვალდებულებები აქვს აღებული. მაგალითად, „ევროპის სოციალური ქარტია“ ავალდებულებს ქვეყანას, გაატაროს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები (მაგალითად, ქალთა და მამაკაცთა მიერ თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების მიღება), ასევე ხელი აქვს მოწერილი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციაზე და მიერთებულია პეკინის დეკლარაციასა და პლატფორმას, თუმცა მანამ, სანამ აღებულ ვალდებულებებს შეასრულებს, მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის მიერ შედგენილი გენდერული უთანასწორობის სკალაზე პოზიციებს წლიდან წლამდე კარგავს და მსოფლიოში 99-ე ადგილს იკავებს, მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის შემდეგ.

ნასტასია არაბული

ორი პოლუსი: ირაკლი წერეთელი და ვლადიმერ ჟვანია

ეს დღე იმითაა გამორჩეული ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავყრილობებში, რომ ორი წიგნის განხილვა გვაქვს. მთლად გამონაკლისი არაა, სხვა დროსაც მომხდარა ასეთი რამ, თუმცა – იშვიათად. ამიტომ გამორჩეული უთუოდ არის. ორივე წიგნი როსტომ ჩხეიძისაა. თითქოს ფორმატისა და ავტორის გარდა არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ასე არ არის. პროფესიული საუბრების მოსმენისას უხილავი კავშირი სავსებით ხილული და ხელშესახები ხდება.

შეხვედრას **მარინე ტურავა** უძღვებოდა. როსტომ ჩხეიძე აგრძელებს ჩვენი წარსულის ღრმა და საინტერესო რეფლექსიას, – ასე გახსნა საღამო და განაგრძო: ვლადიმერ ჟვანია არაორდინარული პიროვნება გახლდათ, აფეთქებებით რომ უპირისპირდებოდა საბჭოთა რეჟიმს. ირაკლი წერეთელი კი – ცნობილი მენშევიკი, ორატორი და, როგორც აღმოჩნდა, ბოლოს – მომნანიე.

როსტომ ჩხეიძის პერსონაჟები არ არიან მითოსურ საბურველში გახვეულნი. ისინი ცოცხალი ადამიანები არიან. მათი დახატვა და მართლად წარმოჩენა კი ფაქტობრივად ლუსტრაციაა ჩვენი წარსულის... წამყვანმა სიტყვა ერთ-ერთ მომხსენებელს, დოდო ჭუმბურიძეს გადასცა. ქალბატონმა დოდომ განიხილა ირაკლი წერეთელზე დაწერილი წიგნი – **„რექვიემი სინანულისა“**. გთავაზობთ მისი გამოსვლის მოკლე ჩანაწერს:

– ვერ წარმომედგინა, თუ როსტომი ირაკლი წერეთელზე დაწერდა წიგნს და მე მასზე ვისაუბრებდი. ჩვენ მიჩვეულნი ვართ როსტომის დიდფორმატიან რომანებს. ეს წიგნი მოცულობით ვერ მიედრება მათ, მაგრამ შინაარსით დიდია. ირაკლი წერეთელმა, მენშევიკმა, რევოლუციონერმა, ბოლოს მოინანია თავისი ცხოვრების გზა. ავტორისთვის ამოსავალი სწორედ ეს მონანიებაა.

რა არის ჩვენი ტკივილი? ეს ადამიანი იყო საოცრად კარგი გარეგნობის, საუკეთესო ადამიანური თვისებების, გამორჩეული ოჯახის შვილი, განათლებული, ზრდილი... მაგრამ იმ იდეოლოგიას აჰყვა, რომ ვერაფერი დატოვა ღირებული, ვერაფერი შექმნა.

ირაკლი წერეთელზე დიდი გავლენა ჰქონდა ბიძას, ნიკო ნიკოლაძეს. ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, დროს გადასწრებული კაცი იყო ნიკო ნიკოლაძე. მე ვიტყოდი, დროში დაკარგული კაცი იყო ირაკლი წერეთელი, სოციალისტებში დაიკარგა. ნიკო ნიკოლაძე მთლიანად შემობრუნდა კაპიტალიზმისკენ, კაპიტალიზმს ებრძოდა მისი დისწული, რომელიც მხარს დემოკრატიას უჭერდა, ცუდად გაგებულ დემოკრატიას.

ირაკლი წერეთელს საუკეთესო განათლება ჰქონდა მიღებული. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. პეტერბურგში სწავლაც ვერ მოასწრო, ისე დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს, მერე ბერლინში წავიდა. 1907 წელს II სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატია საქართველოდან. იყო საოცარი მჭევრმეტყველი, უცებ იპყრობდა აუდიტორიას, მასებს იმორჩილებდა, დიდ გავლენას ახდენდა მსმენელზე, მასთან კამათს ვერავინ ბედავდა (გრიგოლ რობაქიძეს არ მოსწონდა მაინცდამაინც, მიაჩნდა, რომ თვითონ უკეთესი ორატორი იყო). ირაკლი წერეთელი რუსი პოლიტიკოსი გახლდათ და არა – ქართველი. მას მოუხიბლავს ვლადიმერ ვოიტინსკი, ისევე, როგორც რომან გური. იდეოლოგია ისე ბორკავდა, რომ შორს ვერ განჭვრიტა. 1907 წელს დაწერილ წიგნში გააკრიტიკა სოციალ-ფედერაცია, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ავტონომიას. სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს ავტონომია მოითხოვა ილიამ. რუსები – კოვალენსკი და სხვები აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი გამბედაობით.

1917 წელს ირაკლი წერეთელი ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი იყო და მიუხედავად წარმატებული პოლიტიკოსობისა და კარიერისა, ამიერკავკასიის რესპუბლიკაში დაბრუნდა, ხოლო 1918 წელს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ცრემლებით იტირა. სეიმის დახურვა მან გამოაცხადა, თუმცა ვერ წარმოედგინა რუსეთის დაშლა.

როცა ნახა, რომ ეს უკვე მომხდარი ფაქტი იყო, შეეგუა და 1919 წელს გაემგზავრა ევროპაში, რათა ხელი შეეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის და სამშობლოს ინტერესები დაეცვა. ამ მიზნით იბრძვის და მოქმედებს მთელი ევროპის მასშტაბით.

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ჩვენ წინ ორი გზა იდო: დემოკრატიული მიმართულების – მუშათა და გლეხთა კონსოლიდაცია, რომელსაც საერთაშორისო დემოკრატია დაუჭერდა მხარს ან ნაციონალისტური – არ მივმხრობოდით არც ერთ სამხედრო ბლოკს. მაშინდელი ნააზრევი ირაკლი წერეთლისა დღესაც საინტერესოა და დღევანდელ თვალსაზრისებს ეხმიანება.

როცა ნახა, რომ ბოლშევიზმი კი არ დაემხო, უფრო გაძლიერდა, ამის შემდეგ მისი ცხოვრება უფრო სულიერ თვითმკვლელობას დაემსგავსა. გადავიდა საცხოვრებლად ამერიკაში. იქ უკვე სულიერ კრიზისში ჩავარდნილი კაცია, მოინანია მთელი წარსული. რა გამოვიდა მისი ცხოვრებიდან? თავისი დიდი ნიჭი, განათლება, ოჯახური ტრადიციები, ერთ იდეოლოგიას შეალია და არაფერი გამოუვიდა. დღეს ბევრს და მათ შორის როსტომ ჩხეიძესაც მიაჩნია, რომ სოციალ-დემოკრატია ერთიანად უარყოფითი მოვლენა იყო, მე კი ვფიქრობ, რომ პირველი რესპუბლიკა მთლად გასამეტებელი არ ვა ერთ-ერთ მომხსენებელს, დოდო ჭუმბურიძეს გადასცა. ქალბატონმა დოდომ განიხილა ირაკლი წერეთელზე დაწერილი წიგნი – **„რექვიემი სინანულისა“**. გთავაზობთ მისი გამოსვლის მოკლე ჩანაწერს:

– ვერ წარმომედგინა, თუ როსტომი ირაკლი წერეთელზე დაწერდა წიგნს და მე მასზე ვისაუბრებდი. ჩვენ მიჩვეულნი ვართ როსტომის დიდფორმატიან რომანებს. ეს წიგნი მოცულობით ვერ მიედრება მათ, მაგრამ შინაარსით დიდია. ირაკლი წერეთელმა, მენშევიკმა, რევოლუციონერმა, ბოლოს მოინანია თავისი ცხოვრების გზა. ავტორისთვის ამოსავალი სწორედ ეს მონანიებაა.

რა არის ჩვენი ტკივილი? ეს ადამიანი იყო საოცრად კარგი გარეგნობის, საუკეთესო ადამიანური თვისებების, გამორჩეული ოჯახის შვილი, განათლებული, ზრდილი... მაგრამ იმ იდეოლოგიას აჰყვა, რომ ვერაფერი დატოვა ღირებული, ვერაფერი შექმნა.

ირაკლი წერეთელზე დიდი გავლენა ჰქონდა ბიძას, ნიკო ნიკოლაძეს. ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, დროს გადასწრებული კაცი იყო ნიკო ნიკოლაძე. მე ვიტყოდი, დროში დაკარგული კაცი იყო ირაკლი წერეთელი, სოციალისტებში დაიკარგა. ნიკო ნიკოლაძე მთლიანად შემობრუნდა კაპიტალიზმისკენ, კაპიტალიზმს ებრძოდა მისი დისწული, რომელიც მხარს დემოკრატიას უჭერდა, ცუდად გაგებულ დემოკრატიას.

ირაკლი წერეთელს საუკეთესო განათლება ჰქონდა მიღებული. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. პეტერბურგში სწავლაც ვერ მოასწრო, ისე დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს, მერე ბერლინში წავიდა. 1907 წელს II სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატია საქართველოდან. იყო საოცარი მჭევრმეტყველი, უცებ იპყრობდა აუდიტორიას, მასებს იმორჩილებდა, დიდ გავლენას ახდენდა მსმენელზე, მასთან კამათს ვერავინ ბედავდა (გრიგოლ რობაქიძეს არ მოსწონდა მაინცდამაინც, მიაჩნდა, რომ თვითონ უკეთესი ორატორი იყო). ირაკლი წერეთელი რუსი პოლიტიკოსი გახლდათ და არა – ქართველი. მას მოუხიბლავს ვლადიმერ ვოიტინსკი, ისევე, როგორც რომან გური. იდეოლოგია ისე ბორკავდა, რომ შორს ვერ განჭვრიტა. 1907 წელს დაწერილ წიგნში გააკრიტიკა სოციალ-ფედერაცია, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ავტონომიას. სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს ავტონომია მოითხოვა ილიამ. რუსები – კოვალენსკი და სხვები აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი გამბედაობით.

1917 წელს ირაკლი წერეთელი ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი იყო და მიუხედავად წარმატებული პოლიტიკოსობისა და კარიერისა, ამიერკავკასიის რესპუბლიკაში დაბრუნდა, ხოლო 1918 წელს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ცრემლებით იტირა. სეიმის დახურვა მან გამოაცხადა, თუმცა ვერ წარმოედგინა რუსეთის დაშლა.

როცა ნახა, რომ ეს უკვე მომხდარი ფაქტი იყო, შეეგუა და 1919 წელს გაემგზავრა ევროპაში, რათა ხელი შეეწყო საქართველოს

ROSTOM CHKHEIDZE:

– მოვისმინეთ შესანიშნავი საუბარი, ქალბატონმა დოდომ დახატა ეპოქა, საგანმანათლებლო გამოსვლა იყო და იმავდროულად პოეტურიც. ირაკლი წერეთელმა ჩემი ყურადღება იმით მიიპყრო, რომ მოინანია. საფრანგეთში რომ იყო, სოციალისტთა ყრილობაზე, მის გამოჩენაზე დაინგრა ტაშით დარბაზი. ჰკითხეს, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რას გვირჩევ და ამან უპასუხა, რუსეთის საქმეებში ჩავერიე და დავღუპე რუსეთიო, საქართველოს საქმეებში ჩავერიე და დავღუპე საქართველოო და ახლა რა გინდათ, საფრანგეთიც დავღუპოო? ნიკო ნიკოლაძე დიდი სახელია, უშუალო გავლენა ჰქონდა ირაკლიზე, მასწავლებელი იყო მისი. ირაკლი ასევე დაახლოებული იყო თედო რაზიკაშვილთან და ვაჟასთან. ისინი თანამშრომლობდნენ ანასტასია თუმანიშვილის ჟურნალთან და ესეც, მაშინ ყმაწვილი, მიკოწიწებული იყო მათთან. მერე კი შეიცვალა პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ ბოლოს მაინც მიხვდა თავის შეცდომას და მოინანია, ისევე, როგორც კარლო ჩხეიძემ. მონანიე კაცი უნდა დავაფასოთ. ერთ დროს ირაკლი წერეთელსა და კარლო ჩხეიძეს იმხელა სახელი და გავლენა ჰქონდათ, რომ საქართველოს ევროპაში იცნობდნენ, როგორც ჩხეიძე-წერეთლის რესპუბლიკას. კარლო ჩხეიძეზეც დაწერილი მაქვს წიგნი და ახლა ამ ორის ერთად გამოცემას ვაპირებ სათაურით „ჩხეიძე-წერეთლის რესპუბლიკა“.

ვლადიმერ ჟვნიამ განახორციელა 3 აფეთქება 70-იან წლებში – სოხუმში, თბილისსა და ქუთაისში. ეს საპროტესტო აქციები იყო. ჩამოყალიბებული ჰქონდა პროგრამა, როგორ უნდა ეარსება დამოუკიდებელ საქართველოს. უაღრესად გონიერი კაცი იყო. მოსკოვიდან ჩამოსულ კომისიას ეგონა, მთელი ჯგუფი მოქმედებდა, სინამდვილეში მარტოხელა კაცი იყო. მარტომ ჩაიფიქრა, მარტომ მოამზადა, მარტომ განახორციელა.

„მარტოხელა მგელი და გედის ნისლეული“ სწორედ ვლადიმერ ჟვანიას ცხოვრებას ასახავს. მოხსენება ამ წიგნზე **თამარელა წოწორიამ** წაიკითხა. ამ გამოსვლის შემოკლებულ ვერსიასაც გაგაცნობთ:

როსტომ ჩხეიძის მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „მარტოხელა მგელი და გედის ნისლეული“ ვლადიმერ ჟვანიას ბიოგრაფიული ნატეხების გამთლიანების კეთილშობილური ცდაა. ვლადიმერ ჟვანია დამნაშავედ იქცა იმიტომ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება უნდოდა. გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა საქართველოს

ქართველოს გათავისუფლების იდეები მუდამ გულში მექნება, ვიდრე ის მიცემს. მუდამ ტვინში მექნება, ვიდრე ის აზროვნებს, და ვიდრე სული მიდგასო“.

სწორედ ხასიათის ამ შრეებში წვდომის გამოა როსტომ ჩხეიძის კვლევა საინტერესო, რომელიც ელგუჯა თავბერიძემ წამოიწყო, გელა სულაძემ გააგრძელა და ჯემალ ფოცხვერიამ კი, თავის მხრივ, ტრაგიკული გმირის სიყმაწვილის წლებისაკენ გაგვახედა.

როსტომ ჩხეიძის წიგნის საინტერესო მიგნება გახლავთ ვლადიმერ ჟვანიას ტრაგიკული თავგადასავლისა და ბიოგრაფიის გააზრება და მისადაგება ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონის“ ამ საინტერესო პასაჟთან, „ბომბი ისროლეს ჩვენთან, თქვენთან და ქუთაისშიო“. ხელმისაწვდომად ეს სტრიქონი ინახავდა იმ ტრაგედიის ხსოვნას.

დღეს ის გმირია. გმირები იგმირებიან, ალბათ, უფრო ზმნიდან ნაწარმოებია ეს სახელიც. გმირი განსაკუთრებული მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. გმირები, თავდადებული ადამიანები, რომელთაც სიცოცხლის გაწირვა შეუძლიათ, თავდაყირა აყენებენ ისტორიას. უძველეს წარსულში გმირები ტომის, ეთნოსის ბელადები იყვნენ. ისინი წარმოედგინათ, როგორც შუამავლები ღმერთსა

ROSTOM CHKHEIDZE:

– მოვისმინეთ შესანიშნავი საუბარი, ქალბატონმა დოდომ დახატა ეპოქა, საგანმანათლებლო გამოსვლა იყო და იმავდროულად პოეტურიც. ირაკლი წერეთელმა ჩემი ყურადღება იმით მიიპყრო, რომ მოინანია. საფრანგეთში რომ იყო, სოციალისტთა ყრილობაზე, მის გამოჩენაზე დაინგრა ტაშით დარბაზი. ჰკითხეს, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რას გვირჩევ და ამან უპასუხა, რუსეთის საქმეებში ჩავერიე და დავღუპე რუსეთიო, საქართველოს საქმეებში ჩავერიე და დავღუპე საქართველოო და ახლა რა გინდათ, საფრანგეთიც დავღუპოო? ნიკო ნიკოლაძე დიდი სახელია, უშუალო გავლენა ჰქონდა ირაკლიზე, მასწავლებელი იყო მისი. ირაკლი ასევე დაახლოებული იყო თედო რაზიკაშვილთან და ვაჟასთან. ისინი თანამშრომლობდნენ ანასტასია თუმანიშვილის ჟურნალთან და ესეც, მაშინ ყმაწვილი, მიკოწიწებული იყო მათთან. მერე კი შეიცვალა პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ ბოლოს მაინც მიხვდა თავის შეცდომას და მოინანია, ისევე, როგორც კარლო ჩხეიძემ. მონანიე კაცი უნდა დავაფასოთ. ერთ დროს ირაკლი წერეთელსა და კარლო ჩხეიძეს იმხელა სახელი და გავლენა ჰქონდათ, რომ საქართველოს ევროპაში იცნობდნენ, როგორც ჩხეიძე-წერეთლის რესპუბლიკას. კარლო ჩხეიძეზეც დაწერილი მაქვს წიგნი და ახლა ამ ორის ერთად გამოცემას ვაპირებ სათაურით „ჩხეიძე-წერეთლის რესპუბლიკა“.

ვლადიმერ ჟვნიამ განახორციელა 3 აფეთქება 70-იან წლებში – სოხუმში, თბილისსა და ქუთაისში. ეს საპროტესტო აქციები იყო. ჩამოყალიბებული ჰქონდა პროგრამა, როგორ უნდა ეარსება დამოუკიდებელ საქართველოს. უაღრესად გონიერი კაცი იყო. მოსკოვიდან ჩამოსულ კომისიას ეგონა, მთელი ჯგუფი მოქმედებდა, სინამდვილეში მარტოხელა კაცი იყო. მარტომ ჩაიფიქრა, მარტომ მოამზადა, მარტომ განახორციელა.

„მარტოხელა მგელი და გედის ნისლეული“ სწორედ ვლადიმერ ჟვანიას ცხოვრებას ასახავს. მოხსენება ამ წიგნზე **თამარელა წოწორიამ** წაიკითხა. ამ გამოსვლის შემოკლებულ ვერსიასაც გაგაცნობთ:

როსტომ ჩხეიძის მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „მარტოხელა მგელი და გედის ნისლეული“ ვლადიმერ ჟვანიას ბიოგრაფიული ნატეხების გამთლიანების კეთილშობილური ცდაა. ვლადიმერ ჟვანია დამნაშავედ იქცა იმიტომ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება უნდოდა. გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა საქართველოს

ქართველოს გათავისუფლების იდეები მუდამ გულში მექნება, ვიდრე ის მიცემს. მუდამ ტვინში მექნება, ვიდრე ის აზროვნებს, და ვიდრე სული მიდგასო“.

სწორედ ხასიათის ამ შრეებში წვდომის გამოა როსტომ ჩხეიძის კვლევა საინტერესო, რომელიც ელგუჯა თავბერიძემ წამოიწყო, გელა სულაძემ გააგრძელა და ჯემალ ფოცხვერიამ კი, თავის მხრივ, ტრაგიკული გმირის სიყმაწვილის წლებისაკენ გაგვახედა.

როსტომ ჩხეიძის წიგნის საინტერესო მიგნება გახლავთ ვლადიმერ ჟვანიას ტრაგიკული თავგადასავლისა და ბიოგრაფიის გააზრება და მისადაგება ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონის“ ამ საინტერესო პასაჟთან, „ბომბი ისროლეს ჩვენთან, თქვენთან და ქუთაისშიო“. ხელმისაწვდომად ეს სტრიქონი ინახავდა იმ ტრაგედიის ხსოვნას.

დღეს ის გმირია. გმირები იგმირებიან, ალბათ, უფრო ზმნიდან ნაწარმოებია ეს სახელიც. გმირი განსაკუთრებული მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. გმირები, თავდადებული ადამიანები, რომელთაც სიცოცხლის გაწირვა შეუძლიათ, თავდაყირა აყენებენ ისტორიას. უძველეს წარსულში გმირები ტომის, ეთნოსის ბელადები იყვნენ. ისინი წარმოედგინათ, როგორც შუამავლები ღმერთსა

ვა ერთ-ერთ მომხსენებელს, დოდო ჭუმბურიძეს გადასცა. ქალბატონმა დოდომ განიხილა ირაკლი წერეთელზე დაწერილი წიგნი – **„რექვიემი სინანულისა“**. გთავაზობთ მისი გამოსვლის მოკლე ჩანაწერს:

– ვერ წარმომედგინა, თუ როსტომი ირაკლი წერეთელზე დაწერდა წიგნს და მე მასზე ვისაუბრებდი. ჩვენ მიჩვეულნი ვართ როსტომის დიდფორმატიან რომანებს. ეს წიგნი მოცულობით ვერ მიედრება მათ, მაგრამ შინაარსით დიდია. ირაკლი წერეთელმა, მენშევიკმა, რევოლუციონერმა, ბოლოს მოინანია თავისი ცხოვრების გზა. ავტორისთვის ამოსავალი სწორედ ეს მონანიებაა.

რა არის ჩვენი ტკივილი? ეს ადამიანი იყო საოცრად კარგი გარეგნობის, საუკეთესო ადამიანური თვისებების, გამორჩეული ოჯახის შვილი, განათლებული, ზრდილი... მაგრამ იმ იდეოლოგიას აჰყვა, რომ ვერაფერი დატოვა ღირებული, ვერაფერი შექმნა.

ირაკლი წერეთელზე დიდი გავლენა ჰქონდა ბიძას, ნიკო ნიკოლაძეს. ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, დროს გადასწრებული კაცი იყო ნიკო ნიკოლაძე. მე ვიტყოდი, დროში დაკარგული კაცი იყო ირაკლი წერეთელი, სოციალისტებში დაიკარგა. ნიკო ნიკოლაძე მთლიანად შემობრუნდა კაპიტალიზმისკენ, კაპიტალიზმს ებრძოდა მისი დისწული, რომელიც მხარს დემოკრატიას უჭერდა, ცუდად გაგებულ დემოკრატიას.

ირაკლი წერეთელს საუკეთესო განათლება ჰქონდა მიღებული. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. პეტერბურგში სწავლაც ვერ მოასწრო, ისე დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს, მერე ბერლინში წავიდა. 1907 წელს II სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატია საქართველოდან. იყო საოცარი მჭევრმეტყველი, უცებ იპყრობდა აუდიტორიას, მასებს იმორჩილებდა, დიდ გავლენას ახდენდა მსმენელზე, მასთან კამათს ვერავინ ბედავდა (გრიგოლ რობაქიძეს არ მოსწონდა მაინცდამაინც, მიაჩნდა, რომ თვითონ უკეთესი ორატორი იყო). ირაკლი წერეთელი რუსი პოლიტიკოსი გახლდათ და არა – ქართველი. მას მოუხიბლავს ვლადიმერ ვოიტინსკი, ისევე, როგორც რომან გური. იდეოლოგია ისე ბორკავდა, რომ შორს ვერ განჭვრიტა. 1907 წელს დაწერილ წიგნში გააკრიტიკა სოციალ-ფედერაცია, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ავტონომიას. სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს ავტონომია მოითხოვა ილიამ. რუსები – კოვალენსკი და სხვები აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი გამბედაობით.

1917 წელს ირაკლი წერეთელი ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი იყო და მიუხედავად წარმატებული პოლიტიკოსობისა და კარიერისა, ამიერკავკასიის რესპუბლიკაში დაბრუნდა, ხოლო 1918 წელს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ცრემლებით იტირა. სეიმის დახურვა მან გამოაცხადა, თუმცა ვერ წარმოედგინა რუსეთის დაშლა.

როცა ნახა, რომ ეს უკვე მომხდარი ფაქტი იყო, შეეგუა და 1919 წელს გაემგზავრა ევროპაში, რათა ხელი შეეწყო საქართველოს

 პარადიგმას, აქ მწერალი გვახსენებს ფრაგმენტს ვლადიმერ ჟვანიას ბიოგრაფოსის ელგუჯა თავბერიძის პირველი წიგნიდან „რატომ დახვრიტეს ვლადიმერ ჟვანია“, რომელიც იქნებ სულაც ვერ გასცდენოდა ქრონიკის ჩარჩოებს, რომ ბატონ ელგუჯას არ შემოეთავაზებინა ნოველურად მოსხეპილი ფინალი, დიდი ვნებით დამუხტული, ვლადიმერ ჟვანიას მოწაფის, მაია თევდორაძის მიერ ძიებისათვის მიცემული ჩვენებიდან: ერთხელ მოგვიყვა, რომ თითქოს დედამიწაზე არ დაბადებულა, ჩამოფრინდა რომელიღაც სხვა პლანეტიდან, და რომ არასოდეს არ მოკვდება. ჩვენ ხუმრობა გვეგონა და ყურადღება არ მიგვიქცევიაო და იქვე ელგუჯა თავბერიძის ლაკონიური და ღია ფინალი: არ ხუმრობდაო!

სულზე მოგვისწრებს სხვა ამონარიდი მეორე ბიოგრაფოსოს გელა სულაძის წიგნიდან: „მე გედის თანავარსკვლავედში ვცხოვრობდი და იქიდან ჩამოვფრინდი საკუთარ ფრთებზეო“. გაირკვა, რომ 1935 წელს ქუთაისში დაბადებული ვლადიმერ ჟვანია სკოლიდან გარიცხეს თამაშის დროს საკლასო ოთახში კედლებიდან ბელადთა შემთხვევით ჩამოყრილი სურათების გამო.

ათასნაირი თვალით უნდა შეფასდეს ვლადიმერ ჟვანიას ფენომენი. როსტომ ჩხეიძის მონოგრაფიის გაცნობის შემდეგ უჩვეულო გრძნობა ეუფლება ადამიანს – სიბრალულის, შეცოდებისა და... დიდი დოზით სიამაყისაც, რადგან იმხანად საქართველოს დამოუკიდ-ლობისათვის საკუთარი აზრის გამოთქმა და იდეების წამოყენება კი არა, გაფიქრებაც კი ისჯებოდა.

ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანიას დაპატიმრების შემდეგ გაირკვა, რომ მარტო მოქმედებდა. დაპატიმრებისას მისთვის აღმოეჩინათ სამი წერილი: საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის, მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე, რომელშიც იგი საქართველოს გათავისუფლების ორგანიზაციის სახელით უყენებდა მოთხოვნებს რვა მუხლად. მოთხოვნები კი ისეთი იყო, არამცთუ იმუამად, ახლაც დაუჯერებლად მოჩანს, რადგან ითხოვდა, საქართველოდან რუსის ჯარი უნდა გავიდესო! მისი მიზანი უკეთილშობილესი იყო – საქართველოს თავისუფლება.

„მე მინდოდა ქართველი ხალხი გამომეფხიზლებინა, მეგონა, გამომყვებოდა ქართველი ხალხი და საქართველოს დამოუკიდებლობასაც მოვიპოვებდი“, – უთქვამს მას დაკითხვის დროს. თუ რაიმეს გამოეწვია ვლადიმერ ჟვანიას სულიერი აღზევება, არსებული პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, და კიდეც მიმართავდა მთელ თავის ნიჭსა და მისწრაფებას იმ საქმისაკენ, მისი ცხოვრების კრედოდ რომ იქცა, და დაწერდა: „სა-

და ადამიანებს შორის. გმირმა იცის, რომ წამებით სიკვდილი შეიძლება ეწიოს. მან მშვენივრად იცის, რომ დამარცხება რეალურია, უფრო რეალური, ვიდრე გამარჯვება, მაგრამ გმირის დამარცხება უკვე გამარჯვებაა.

> უგმიროდ ცხოვრება არ შეიძლება. წარმოუდგენელიცაა უგმიროდ ცხოვრება.
>
> ამიტომ გამოჩნდა უცებ, თითქოს არსაიდან გოჩა ესებუა, გია ესებუას უმცროსი ძმა. ღმერთი გმირების მეშვეობით გველაპარაკება, მიგვანიშნებს, გმირები ღვთის ასო-ნიშნები არიან, ხოლო გმიროგა კი ღვთის დამწერლოგაა.
>
> ოფიცერთა სახლის წინ ახალგაზრდა კაცმა გენზინი გადაისხა და ცეცხლი წაიკიდა. ეს იყო გია აბესაძე, ახალგაზრდა ექიმი, ჰყავდა მეუღლე და ერთი ქალიშვილი. „თუ საქართველოს გაერთიანებას მსხვერპლი სჭირდება, დე მე ვიყო იგი, ოღონდ უკანასკნელი“ – წერია დანატოვარ გარათში. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება არ აღმოჩნდა მზად იმისთვის, რომ გია აბესაძის გმირობა გაესიგრძეგანებინა.

ასეთ ვაჟკაცებს კვლავ ბადებს ქართული წიაღი. აუცილებელი იყო ასეთი წიგნის დაწერა ვლადიმერ ჟვანიაზე, ამ წიგნიდან ზეცასაც საყვედურით შეჰყურებს გმირი და დედამიწასაც. და მაინც, როგორი უცნაური მოვლენაა ეს ლიტერატურა – კაცს არ იცნობ, არავითარი წარმოდგენა არა გაქვს მასზე, მის პიროვნულ ხასიათს კი ისეთი სიღრმითა და შთამბეჭდაობით წარმოსახავ, არავინ დაიჯერებს, მისი განუყრელი თუ არ ყოფილხარ და ყოველგვარი მხატვრული ფერ-უმარილის გარეშე არ გიქცევია პერსონაჟად. აღსარებასავით ამთავრებს ამ წიგნს როსტომ ჩხეიძე, წიგნს, რომელიც ზუსტად ორ კვირაშია დაწერილი – 2015 წლის 21 მარტიდან 5 აპრლამდე, რაც კიდევ ერთხელ მოსალოცს ხდის ამ წიგნის ავტორს ასეთი მხატვრულ-დოკუმენტური თუ ბიოგრაფიული ნატეხის შექმნა-გამთლიანებისათვის.

ROSTOM CHKHEIDZE:

– თამარელასგან არ ვართ უჩვევი კარგ გამოსვლებს, მაგრამ ეს ერთ-ერთი საუკეთესო იყო. გულში ჩამეღვარა გოჩა ესებუა და გია აბესაძე რომ ახსენა. ჟვანიას ერთ აფეთქებას ორი რუსი ტურისტი შეეწირა და მე მგონია, რომ ამის გამო ჩაბარდა ხელისუფლებას. მისი ზნეობის კაცმა ვერ გაუძლო სინდისის ქენჯნას. უმსხვერპლოდ უნდოდა. როცა დახვრეტა მიუსაჯეს, გამომძიებლები ისე მოიხიბლნენ, შესთავაზეს, მოინანიე და მერე რაც გინდა, ის აკეთეო. უარი უთხრა, რომ მოვინანიო, მერე ვერაფერს გავაკეთებო. ფორმალურად მოინანიე, თა-



ვი გადაირჩინე და მერე ისევ ააფეთქეო... არაო, მონანიებას თავის გაწირვა ამჯობინა.

ნოდარ დუმბაძემ რომ „მარადისობის კანონში“ ჰუმანოიდი გამოიყვანა გალაქტიონ მთვარაძე, ვლადიმერ ჟვანიას პირადად არ იცნობდა.

მომხსენებლების გარდა, ამ წიგნების შესახებ კიდევ ბევრმა ისაუბრა – ყველამ განსხვავებულად, საინტერესოდ, ისე, რომ წიგნების სხვადასხვა ასპექტებს მიაქციეს ყურადღება.

სალომე კაპანაძე:

– როსტომ ჩხეიძის დაინტერესებამ ვლადიმერ ჟვანიას პიროვნებით ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, განსაკუთრებულ მოლოდინი შექმნა. საბჭოთა გისოსებში დატყვევებული ჩვენი ისტორიისათვის იდეალისტი მეამბოხის ვლადიმერ ჟვანიას ამბავი კიდევ



ერთი შეხსენებაა იმისა, რომ არაფერია შეუძლებელი თავისუფალი ნების ადამიანისათვის. უცნაურია, სოხუმშიც მომხდარა მის მიერ ინსპირირებული აფეთქება და როგორი ჰერმეტული იყო საბჭოთა საინფორმაციო სივრცე, რომ არ გამოჟონა ამ ამბავმა. აფეთქებები თითქოს პროტესტია დატყვევებული ოცნების გამოსახსნელად, რომელსაც ქართველი ხალხის გამოღვიძება ერქვაო, ამბობს ერთგან ავტორი და თანმიმდევრულად ააშკარავებს იმ მნიშველოვან პასაჟებს ტრაგიკული მეამბოხის ისტორიიდან, რომელიც ამ მიზანს ცხადყოფს და მის მიმართ სიმპათიებს აღძრავს. განსაკუთრებულია ის ეპიზოდი, როცა ქართულად ითხოვს დაკითხვასა და ოქმის შედგენას, როცა აფეთქებების მოწყობისას განსაკუთრებულად ზრუნავს მოქალაქეების უსაფრთხოებისათვის და პრევენციულ ღონისძიებებს გათვლის. მე შორსა ვარ ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიციებისაგან, როდესაც უაპელაციოდ არიგებენ გმირის წოდებას, თუმცა ასეთი გამბედავი და მეოცნებე ადამიანების ღვაწლია ის, რომ შიგადაშიგ მაინც გამოჟონავდა ამბავი საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა.

ნიკა სანეგლიძე:

– 90-იან წლებში უზენაესი საბჭოს წევრი ვიყავი. მიამბეს, როგორ მოვარდა აფეთქების შემდეგ უცებ უშიშროების უფროსი ალექსი ინაური. მთავრობის სახლთან, იქვე, ახლოს იყო უშიშროება.

ვლადიმერ ჟვანია, როგორც ჩანს, გულუბრყვილო ტიპი იყო. ეს რომ არა, აფეთქებებსაც არ მოაწყობდა. ადამიანი თუ არ ფიქრობს, რომ მას რამე მცირე გავლენის მოხდენა მაინც შეუძლია ცხოვრებაზე, ისე არც არაფერს გააკეთებს. საბჭოთა სისტემის აღზრდილი კაცი არ იყო – სკოლაც არ დაუმთავრებია, არც უმაღლესი. ეს წინააღმდეგობა ცარიელ ადგილზე მაინც არ აღმოცენებულა. საქართველოში არასოდეს შემწყდარა ანტისაბჭოთა საქმიანობა.

მოგონება. 1988 წელია. რაღაცა გამოსვლებია რაღაცის წინააღმდეგ. მოდის ერთი ხანშიშესული კაცი, რომელსაც უნდა მოახლოება, ლოზუნგები მოსწონს, მაგრამ თან ეშინია ერთად შეკრებილი ამდენი ხალხის. ბოლოს მოგვიახლოვდა 2-3 ახალგაზრდას და გვეუბნება: სისხლი, ომი და აფეთქება არ გვინდაო. ალეკო მელაძე კი, რომელიც ბუნებით იყო ამფეთქებელი, პასუხობს: ტერორს ნუ გამოვრიცხავთო, – რითაც შეაშინა კიდეც ის კაცი. ასე რომ, არსებობენ ადამიანები, ბუნებით ამფეთქებლები.

ვფიქრობ, აუცილებელია მემარცხენეობის შესწავლა საქართველოში. არ დაგვავიწყდეს, რომ ის ცნობილი ფრაზა: „არის ასეთი პარტია!“ ლენინმა სწორედ ირაკლი წერეთლის საპასუხოდ თქვა.

მერაბ ღაღანიძე:

– იშვიათად მეგულება ჩვენ ირგვლივ ადამიანი, რომელსაც ისეთი ნაყოფიერი 60 წელი გაევლოს, როგორც ეს როსტომ ჩხეიძემ გაიარა ქვეყნისა და კულტურის სამსახურში. წიგნს რეკვიემი შემთხვევით არ ჰქვია. ეს მუსიკალური ტერმინია და წიგნიც მუსიკალურ ნაწარმოებს ჰგავს. მე მხოლოდ ერთ მოტივს გამოვყოფ. როსტომი ჩინებული კომპოზიტორია თავისი ნაწარმოებებისა. შეუძლებელია ამ პერიოდზე დაწერო რამე და ილია არ ახსენო. როსტომისთვის ილიაც არ არის მონუმენტური ქანდაკება, რომელიც არასოდეს იცვლიდა პოზიციას. ილიას მსოფლმხედველობა შეიცვალა რადიკალურად. როცა სოციალ-დემოკრატები გამოვიდნენ ასპარეზზე, მათთვის ილია მიუღებელი აღმოჩნდა, მათი გზები ერთმანეთს არ დაემთხვა.

ირაკლი წერეთელმა გადაწყვიტა, ბოლშევიკების აჯანყება ჩაეხშო.

1905-07 წლებში ილია დუმს. ამ დუმილში დანახულია ილიას პოზიცია და გადაძახილია ნაწარმოების სათაურთან. ილია ინანიებს თავის ახალგაზრდულ რადიკალიზმს. ჩემი მწირი ცოდნით, ეს როსტომის გარდა, არავის უთქვამს. აკაკის აქვს სტატია „განთიადი“ – 60-იან წლებზე ბნელი პერიოდი არ იცის ლიტერატურამ. ჩვენ მაშინ მოვსპეთ სიტყვაკაზმული მწერლობა, ვუღალატეთ ლიტერატურასო. ამიტომ მიესალმა შიო არაგვისპირელს, თედო რაზიკაშვილს, გრიგოლ რობაქიძეს... ნაწარმოების ბოლოს ირაკლი წერეთელი ინანიებს იმას, რომ ემხრობოდა ნგრევას, განადგურებას, ძალადობას, გათანასწორებას. ამ წიგნს არა აქვს მხოლოდ ისტორიული დანიშნულება და ფუნქცია. იგი საოცრად თანამედროვეა. სოციალიზმი არ მომკვდარა. დღეს საქართველოში სოციალიზმის კერაა.

გურამ გათიაშვილი:

– მართლაც საინტერესო მონაკვეთია ჩვენი წარსულისა. ილია და დუმილი. ამ პერიოდში ილიასა და აკაკის პოზიციები არ ემთხვევა ერთმანეთს. მინდა, გამოვხატო აღფრთოვანება და გაოცება როსტომის ფენომენთან დაკავშირებით. იგი აბსოლუტურად სხვადასხვა საუკუნეს, ეპოქას სწვდება და სიღრმისეულად ასახავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებას. როსტომი რომ ფრანგი იყოს, ჩვენ ამ ფენომენზე ბევრს ვილაპარაკებდით. ილიაზე მონაკვეთი ამ წიგნში ჩემთვის სრულიად ახალია. ვფიქრობ, ჩხეიძე-წერეთლის სახელმა გზა გაუკვალა რუსეთის იმპერიაში მესამე ქართველს, სტალინს. ქართველები ასეთი გონიერები, წინდახედულნი არიანო, და სტალინიც ამოუყენეს გვერდით – მე ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა.

როსტომ ჩხეიძე:

– ეს ბოლო აზრი ძალიან საინტერესოა და შესასწავლი. ირაკლი წერეთელი რაკი ევროპაში მოხვდა, გადაწყვიტა, ხელი შეეწყო, რათა შექმნილიყო ქართული ლიტერატურის სრული ისტორია უძველესი ხანიდან დღემდე. ეს საქმე დაავალა პავლე ინგოროყვას. როცა სტალინს დასჯირდა ასეთი მოხსენება, რომელშიც წარმოჩენილი იქნებოდა ჩვენი მწერლობის სიდიადე, მოხსენების დაწერა დაავალა იმანაც პავლე ინგოროყვას. ასე გადაიკვეთა ირაკლი წერეთლისა და სტალინის გზები და შუაში აღმოჩნდა პავლე ინგოროყვა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია.

მიხეილ ანთაძე:

– ჩემს უმეტეს დროს როსტომის წიგნების კითხვაში ვატარებ, იმიტომ, რომ არ ილევა, ახალ-ახალი ემატება და კიდევ კარგი, რომ ასეა. ერთი ამბავი უნდა მოგიყვეთ და ჩემი სიხარული გაგიზიაროთ: 1900 წელს ქუთაისში, ღამბაშიძის სტამბაში „ბაში-აჩუკის“ სულ ხუთი ეგზემპლარი დაბეჭდილა. ამათგან ოთხი ცნობილი იყო, სადაც ინახება, და მეხუთეს ბედი არ სცოდნიათ. ის მეხუთე კი მე მაქვს, მაგრამ აქამდე არ ვიცოდი, თუ სულ ხუთი წიგნი იყო გამოცემული.

„მარტოხელა მგელს“ რომ ვკითხულობდი, გამიცოცხლდა ჩემი ახალგაზრდობა. სულს გვითრგუნავდა რაღაცა. მხოლოდ ყურმოკვრით თუ გავიგონებდით ჩურჩულით ნათქვამს ანტისაბჭოთა ქმედებების შესახებ. ამ აფეთქებების შესახებ ხმამ მაინც მოაღწია ჩვენამდე. მახსოვს, ბერმა გაბრიელმა პირველი მაისის დემონსტრაციაზე დაჭვა ლენინის უზარმაზარი სურათი. მახსოვს ის ირაციონალური ბედნიერება, რომელსაც ჩვენში იწვევდა ასეთი ამბები, ამას მერე დაემატა აკაკი ბაქრაძის ლექციები და სხვა. ყველამ იცოდა, ვინ იყო ინაური და ვინ იყო შინაური. ვლადიმერ ჟვანია ამოუწურავი მასალაა პროზისთვის. როსტომს მოცემული აქვს ძირითადი საყრდენი, ბოძები, რომლებზეც შეიძლება ბადე გააბას კაცმა. ჩვენ მაშინ ინტუიციურად ვგრძნობდით, რომ უნდა გვებრძოლა იმ ყოფის წინააღმდეგ. ჟვანიას უნდოდა, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიეპყრო, თან მთლად ნორმალური და ადეკვატური არ იყო. ვინც ამ თემაზე რომანს დაწერს ან ფილმს გადაიღებს, როსტომის ეს პატარა წიგნი გამოადგება საფუძვლად და სახელმძღვანელოდ.

ქეთევან შენგელია:

– დღევანდელ ლიტერატურაში შემოჭრილია უამრავი ვაი-მწერალი. მათ შორის ცოტას აქვს თავისი ფუნქცია, თავისი ნიშა. როსტომს აქვს საკუთარი ფუნქცია. ჩვენი მოღვაწეების ბიოგრაფიების აღდგენა, მათი გაცოცხლება როსტომის ფუნქციაა. ერის ცნობიერების ჩამოყალიბებაში ლიტერატურა ხომ უფრო მეტ საქმეს აკეთებს, ვიდრე ისტორია. ბევრი გმირი გვყავს და სწორედ მათი გაცოცხლებაა ღვთით დაკისრებული მოვალეობა როსტომისა, რომელსაც ლიტერატურაში მთელი თაობა ჰყავს გადარჩენილი.

აქვე ქალბატონმა ქეთევანმა საჯაროდ გადასცა ბატონ როსტომს პავლე ინგოროყვას ოჯახის მიერ შემოთვლილი მადლობა მეცნიერის არქივის მოვლისა და პატრონობისათვის.

ბოლოს ახალგაზრდა კაცს, განათლებითა და მჭევრმეტყველებით უკვე განთქმულ ნიკა მაჭუტაძეს ვუსმენდით. აქ მისი მომხიბლავი გამოსვლის მხოლოდ თებისებს შემოგთავაზებთ.

ნიკა მაჭუტაძე:

– ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა აქ ყოფნა. ჩვენ განვიხილავთ იმ წიგნებს, რომლებიც დღეს აქტუალურია. ჟვანიაზე დაწერილი წიგნი გვიჩვენებს, რა ცეცხლი, რა შემართება, რა თავგანწირვა იდგა სახელმწიფოს ამოგების სათავეში.

ირაკლი წერეთელზე დაწერილ წიგნში ვეცნობით გარდასახვას ამ დიდი მოღვაწისა. მისი სულიერი მეტამორფოზა, სულიერი გარდაქმნა 1919 წლიდან იწყება. ირაკლი წერეთელი და კარლო ჩხეიძე – ორივენი მემარცხენეები იყვნენ და ეს მიმდინარეობა ჩვენში ჯერ კიდევ შესასწავლია.

შეხვედრა ბატონმა როსტომმა დაასრულა: ირაკლი წერეთელს რომ არ მოენანიებინა, ჩვენ წარმოდგენაში დარჩებოდა, როგორც გაშეშებული გონების კაცი, მარტო პარტიულად მოაზროვნე. მონანიებამ აქცია არაორდინარულ და კოლორიტულ ადამიანად, იმან, რომ ბოლოს მაინც თვალი აეხილაო, – გვითხრა.

გვერდით მჯდომმა გადმომილაპარაკა, – ნეტა ღმერთმა ყველა ადამიანს მისცეს, თუნდაც ბოლოს, თვალის ახელის ბედნიერება და ფუფუნებაო და ამით, მგონი, ყველა დამსწრის საერთო აზრი და პოზიცია გამოხატა.

გიორგი ვაჩნაძე

უკვდავი „დაისი“ 95 წლისაა

95 წლის წინ, 1923 წლის 19 დეკემბერს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „დაისის“ პრემიერა შედგა.

ოპერა დადგა კოტე მარჯანიშვილმა, დირიჟორობდა ზაქარია ფალიაშვილის ძმა ივანე ფალიაშვილი. მალხაზის პარტიას ასრულებდა გამოჩენილი ქართველი ტენორი ვანო სარაჯიშვილი, რომელსაც სპექტაკლის განმავლობაში მაყურებლის მოთხოვნით ზედიზედ სამჯერ მოუწია მალზახია არიის („თავო ჩემო“) შესრულება. ქორეოგრაფიული ნომერი „ლეკური“ შეასრულა ილიკო სუხიშვილმა.

პრემიერამდე ერთი კვირით ადრე ყველა ბილეთი გაყიდული იყო.

პრემიერის შემდეგ მაყურებლის წინაშე გამოსული ზაქარია და ივანე ფალიაშვილები დიდხანს ვერ გადიოდნენ კულისებში. მაყურებლის ტაში არ ნელდებოდა. ეს კი „დაისის“ გამარჯვებას ნიშნავდა. აღფრთოვანებული მაყურებლის ოვაციები გაგრძელდა ოპერის შენობის წინაც, სადაც ახალგაზრდები დახვდნენ კომპოზიტორს და მადლობა გადაუხადეს.

ოპერაზე მუშაობა კომპოზიტორმა 1921 წელს დაიწყო. „დაისის“ მთავარ გმირს სახელი ბოლშევიკიური რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში საქართველოს ანექსიის დროს წარმოებულ თავდაცვით ბრძოლაში გმირულად დაღუპული მარო მაყაშვილის პატივსაცემად ჰქვია. „დაისის“ შექმნის იდეა ზაქარია ფალიაშვილს ცნობილმა ქართველმა დრამატურგმა და მსახიობმა ვალერიან გუნიამ მიაწოდა, რომელსაც ეკუთვნის ამავე ოპერის ლიბრეტო. გუნიამ გამოიყენა შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. ახალი ნაწარმოების სახელწოდებად განზრახული იყო „ორთა მიჯნური“ ანდა – „ღამის თევაზე“. „დაისი“ ოპერის დაწერის შემდეგ, ბოლო მომენტში გამოიკვეთა.

საზოგადოების აღტაცების მიუხედავად კომპოზიტორმა ცვლილებები შეიტანა ოპერაში – დაამატა მალხაზის არია პირველ მოქმედებაში და ცალკეული ნომრები მეორე მოქმედებაში.

„ოპერისა და ბალეტის თეატრი უნდა გათავისუფლდეს ვაშაძე-ანანიაშვილისგან“

კულტურის პალატის პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილი ოპერის საბალეტო დასის ხელმძღვანელის თანამდებობიდან ნინო ანანიაშვილის გადადგომას ითხოვს და აქციებს აანონსებს. მისი თქმით, ოპერაში ნეპოტიზმია და ბევრი ნიჭიერი და ცნობილი ხელოვანისთვის მისი კარი დაკეტილია.

„ნინო ანანიაშვილს, როგორც ბალერინას ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ როგორც ხელმძღვანელი არ ვარგა. ისეთ ცნობილ ხელოვანებს, როგორიცაა ირმა ნიორაძე, ნიკოლოზ ცისკარიძე და ბალეტის კიდევ ბევრი ნიჭიერი მსახიობი, არ აკარებენ ოპერას. ასევე შეუძლებელია, შენი ოჯახის წევრი გამოდიოდეს ქვეყნის დამხობის მოთხოვნით და შენ ამ ქვეყნის ოპერას ხელმძღვანელობდე. იქ მომუშავე ადამიანები ძალიან უკმაყოფილოები არიან, მაგრამ ეშინიათ ხმამაღლა თქმა, რომ არ დაკარგონ ადგილები. ოპერის მომღერლებს ერთი დარბაზი დაუტოვეს მაშინ, როცა ბალეტს ხუთი დარბაზი აქვს“,- აცხადებს დავით ოქიტაშვილი.

განსაკუთრებული ურთიერთობა და უკუკავშირი ჩვენს მოსახლეობასთან.

აი, ჩვენი აბსოლუტური პრიორიტეტი

(მეოთხე გვერდიდან)

ყოველდღე, როდესაც ჩვენ ვერ ვახერხებდით ავტომობილების გატარებას და იკეტებოდა გზა, საქართველოს ეკონომიკა კარგავდა მილიონ ლარზე მეტს. ეს პრობლემა საქართველოსთვის ერთხელ და სამუდამოდ მოხსნილია. ამავე დროს, ევროპული სტანდარტით აშენდა საკმაოდ რთული წყნეთი-ბეთანიის საავტომობილო გზა და გათვალისწინებული იქნა ყველა ის ხარვეზი, რომელიც ჰქონდა წინა პროექტს. საბოლოო ჯამში, ჩვენ მომდევნო წლების განმავლობაში, კერძოდ, 2022 წლის ჩათვლით დავასრულებთ ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელიც კავშირშია საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობასთან, იმასთან, რომ ინფრასტრუქტურა აღარასოდეს იყოს ბარიერი საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის.

მინდა, შევეხო იმ მნიშვნელოვან პროექტს, რომელსაც თბილისის მერიასთან ერთად ვახორციელებთ. 2019 წელს დაიწყება მიწისზედა მეტროს მშენებლობა და თბილისს დაემატება 8 ახალი მეტროსადგური. ჩვენ ამ პროექტს გავაკეთებთ იმ პროექტის სანაცვლოდ, რომელსაც ეწოდებოდა თბილისის შემოვლითი რკინიგზა, რომელიც იყო სრულიად გაუაზრებელი და საინჟინრო თვალსაზრისით მიუღებელი. ამ პროექტის სანაცვლოდ თბილისი მიიღებს მართლაც ისტორიული მნიშვნელობის მქონე პროექტს. რამდენიმე თვეში ჩვენ გვეცოდინება ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის შედეგი, როგორ შეიძლება ავაშენოთ ახალი მონაკვეთი და მეტროს საშუალებით თბილისი რუსთავს დავუკავშიროთ. ეს იქნება მართლაც ისტორიული მნიშვნელობის პროექტი და ძალიან ვარ მოწადინებული, რომ ეს პროექტი შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში აუცილებლად განვახორციელოთ.

* * *

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მთას. კანონმა „მთის შესახებ“ ძალიან დადებითი შედეგები მოუტანა მთაში მცხოვრებ მოსახლეობას. ჩვენ ვაპირებთ, კიდევ უფრო გავზარდოთ ბიუჯეტი. 2019 წლის ბიუჯეტი ამ თვალსაზრისით გაზრდილია და გვსურს, მეტი ინვესტიცია განვახორციელოთ აღნიშნული კანონის ფარგლებში ჩვენს მთაში. ვფიქრობ, შემუშავებული სტრატეგია იქნება ძალიან წარმატებული, ვინაიდან ის ეფუძნება, ჩემი აზრით, მსოფლიოში საუკეთესო პრაქტიკას – კერძოდ, ავსტრიისა და შვეიცარიის მაგალითებს. მინდა, ავსტრიისა და შვეიცარიის მთავრობებს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მთის განვითარების სტრატეგიის ერთობლივად მომზადებაში გაწეული მხარდაჭერისთვის.



ჩვენთვის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა განსაკუთრებული ფასეულობაა. ამაზე დიდი სიმდიდრე ჩვენ ნამდვილად არაფერი გვაქვს. ეს არის სწორედ ის დიადი წარსული, რითაც ვამაყობთ. ძეგლთა დაცვა ჩვენი მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ბოლო წლების განმავლობაში ამ მიმართულებით ბევრი საქმე გაკეთდა და, ბუნებრივია, ეს მომავალშიც გაგრძელდება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია განხორციელებული რეფორმა, რომლის თანახმად, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროები გაერთიანდა. ხშირად ისმის კითხვა, რა იყო ამის მთავარი მოტივაცია და მიზეზი. რა თქმა უნდა, გვქონდა სტრუქტურული არგუმენტი, რომ გვჭირდებოდა მცირე მთავრობა, მაგრამ ამავე დროს გვქონდა ძალიან მნიშვნელოვანი შინაარსობრივი არგუმენტი, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ სწორედ ძლიერი განათლების სექტორი, ტრადიციებსა და ძლიერ კულტურაზე დაფუძნებული საზოგადოება და სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესი არის იმ ფასეულობების კომბინაცია, რომელიც საშუალებას მოგვცემს, საქართველოში ყოველთვის იზრდებოდნენ ძლიერი თაობები, ქმნიდნენ ძლიერ საზოგადოებას და შესაბამისად – ძლიერ სახელმწიფოს.

* * *

მინდა, ორიოდე სიტყვით შევეხო სოფლის მეურნეობასაც. ძალიან ბევრი კრიტიკა მომისმენია, რომ ამ სექტორს არ აქვს მომავალი საქართველოში და ტყუილად ახდენს სახელმწიფო ამ სექტორში ამხელა თანხის ინვესტირებას. მინდა, ყველას შეგახსენოთ, რომ ჩვენი მოსახლეობის თითქმის ნახევარი დაკავებულია სოფლის მეურნეობით. ეს ეხება ფაქტობრივად ყოველ მეორე ადამიანს, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები. წელს ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი მილიარდზე მეტი იქნება. ეს არის ყველაზე კარგი პასუხი იმ სკეპტიკოსებისთვის, ვინც ამბობდა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობას მომავალი არ აქვს. საქართველოში სოფლის მეურნეობას აქვს მომავალი იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ჩვენი პოლიტიკის განხორციელებაში ძალიან ეფექტურები ვიქნებით. წელს რთველი იყო საუკეთესო და ყველაზე წარმატებული დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ამავდროულად, საუკეთესო წელი იყო ღვინის ექსპორტის თვალსაზრისითაც, მაგრამ გვაქვს ძალიან მტკივნეული გამოწვევებიც. შარშან აზიურმა ფაროსანამ ძალიან დაგვაზარალა, თუმცა გამოვიტანეთ მნიშვნელოვანი დასკვნები და წელს ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მდგომარეობა გვაქვს. ვფიქრობ, 2020 წელს ამ ძალიან მტკივნეულ გამოწვევას ჩვენ საბოლოოდ დავძლევთ და დავამარცხებთ. განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა აზიური ფაროსანა აფხაზეთში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეებისთვის.

მინდა, გამოვყო მნიშვნელოვანი პროექტი, ვინაიდან ყველა სოფელში, სადაც ჩავდივარ, მთავარი კითხვაა – როდის გვექნება ბუნებრივი გაზი?! ჩვენი ძალისხმევით, ფაქტობრივად მოსახლეობის 80%-ს უკვე მიეწოდება ბუნებრივი აირი. რამდენიმე კვირის წინ ზემო აჭარაში გავხსენი პროექტი, რომლის მიხედვითაც უკვე ზემო აჭარის მოსახლეობასაც აქვს წვდომა ბუნებრივ აირზე. რამდენიმე წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ზემო აჭარაში ბუნებრივი აირი გვექნებოდა.

მისვამენ კითხვას, რა იქნება შემდეგი დიდი რეფორმა საქართველოში?! საქართველოში შემდეგი დიდი რეფორმა განათლება იქნება. ყველაზე დიდი სიმდიდრე და კაპიტალი, რაც საქართველოს აქვს, ეს ჩვენი მოქალაქეებია. საქართველოში არის ძალიან დიდი ნიჭი და ტალანტი. სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, აღმოჩნდა ისე, რომ სწორედ განათლების სექტორის დაფინანსება იყო ყველაზე უფრო მცირე. ეს გახლდათ ძალიან სამწუხარო ტენდენცია, რომელიც უაღრესად ნეგატიურად აისახა ამავე დროს ჩვენს ეკონომიკურ პერსპექტივებზე. ჩვენ ვაპირებთ, ეს ყველაფერი შევცვალოთ. 2019 წელს ჩვენ დავიწყებთ რეფორმას, რომლის მიხედვითაც განათლების სექტორი გახდება დომინანტი ჩვენს ეკონომიკაში, ანუ ექნება მინიმუმ 10-11%-იანი წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ). ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სამჯერ უნდა გავზარდოთ ინვესტიციები განათლებაში. ჩვენ შევიმუშავეთ რეფორმა, რომლის მიხედვითაც გამოვყავით 5 დონე – სკოლამდელი განათლება, საშუალო განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება და მეცნიერება. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ ხუთივე დონეზე ჩვენი ეკონომიკა ხარჯავდეს თავისი მშპ-ს 10-11%-ს. სწორედ ეს არის გამოსავალი და გზა იმისკენ, რომ საქართველო ჩავაყენოთ განვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყანათა რიცხვში. დარწმუნებული ვარ, სწორედ ეს რეფორმა იქნება ყველა ძირითადი პრობლემის დაძლევის გზა. დარწმუნებული ვარ, ეს რეფორმა მოიტანს სწორედ იმ სულისკვეთებას, რომელიც დაგვეხმარება, რომ ჩვენი ეკონომიკა გახდეს სრულიად განსხვავებული, დავძლიოთ ქვეყანაში დღეს არსებული ყველა გამოწვევა, უმუშევრობის, სიღარიბის თვალსაზრისით და მოქალაქეებისთვის საქმიანობის არეალის შეზღუდვის კუთხით. ეს არის ძალიან რთული ამოცანა. რა თქმა უნდა, მხოლოდ განათლების რეფორმით ამ პრობლემას ვერ მოვუვლით, მაგრამ სწორედ განათლების რეფორმა უნდა იყოს ამ ამოცანების გადაწყვეტის მთავარი ლოკომოტივი. ჩვენ ამ თვალსაზრისით უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით მომავალი წლის ბიუჯეტის წარდგენით, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ჩვენი ინიციატივის შედეგად, განათლების სექტორს ექნება 10-11%-იანი წილი ჩვენს მშპ-ში.

მინდა, შევეხო სპორტს და ჯანსაღი ცხოვრების წესს. 2018 წელი მართლაც საოცარი და ჩემთვისაც კი მოულოდნელი იყო, იმის მიუხედავად, როგორ მიყვარს სპორტი. 800 მედალზე მეტი მოიპოვეს ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა და მინდა, მათ განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო. მსოფლიოში არ არსებობს სხვა პრეცედენტი, რომ ასეთ მცირერიცხოვან ერს ასეთი წარმატებები ჰქონდეს. ეს არის სრულია უპრეცედენტო მოვლენა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში წვლილი იმანაც შეიტანა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ გავასამმაგეთ ინვესტიციები ქართულ სპორტში, მაგრამ მეტი გვჭირდება. ჩვენ გვჭირდება, ყველა ახალგაზრდას და მოზარდს საქართველოს ყველა კუთხეში ჰქონდეს სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა. ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებებს ვუმასპინძლეთ. მინდა, გამოვყო რამდენიმე მათგანი – რა თქმა უნდა, ჭადრაკის ოლიმპიადა. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ძალიან დიდი წარსულით ჭადრაკში და ეს ოლიმპიადა უნდა იყოს ამავე დროს ახალი ფურცელი, დასაწყისი ახალი ენერგიისა. ჩვენ ვუმასპინძლეთ ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებებს. საქართველო უფრო აქტიურად იმკვიდრებს ადგილს მსოფლიოს სპორტულ რუკაზე, როგორც ქვეყანა, რომელსაც შეუძლია, ღირსეულად უმასპინძლოს ნებისმიერ სპორტულ ღონისძიებას. მინდა, გამოვყო ჩვენი პარაოლიმპიელების მართლაც უნიკალური შედეგები 2018 წელს. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ თანაბრად წარმატებულები ვიყავით როგორც გუნდურ სახეობაში, ასევე ინდივიდუალურ სახეობებში. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, მაგრამ ამავე დროს, არ შემიძლია, თავს უფლება მივცე, რომ რამდენიმე მათგანი არ დავასახელო. გუნდურ სახეობებში გვქონდა ძალიან მნიშვნელოვანი წარმატებები. ჩვენმა მორაგბეებმა, ფეხბურთელებმა, კალათბურთელებმა ძალიან დიდი სიხარული აჩუქეს გულშემატკივრებს. უნიკალური წარმატებები გვქონდა ინდივიდუალურ სპორტში. საქართველოს პოპულარიზაციისთვის განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ტოჩინოშინს, რომელმაც იმპერატორის თასი მოიგო. ჩვენმა მოჭიდავეებმა და ძიუდოისტებმაც განსაკუთრებული შედეგი აჩვენეს 2018 წელს და, რა თქმა უნდა, ყველანი ძალიან ვამაყობთ, რომ მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ადამიანი ქართველია – ლაშა ტალახაძე. დარწმუნებული ვარ, ასეთი გამარჯვებები ჩვენ მიგვაღწევინებს მთავარ საწადელს, გადაგვაწყვეტინებს ჩვენს ეროვნულ ამოცანებს, იმ ორ ყველაზე მტკივნეულ გამოწვევას, რითაც დავიწყე. ჩვენ გვჭირდება მეტი გამარჯვებები.

* * *

მსურს, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო თითოეულ თქვენგანს. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით, ყველას მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი, გისურვოთ ძალიან დიდი ბედნიერება და ჩემს სამშობლოს ვუსურვო წარმატებები და გამარჯვებები 2019 წელს!

◎ მშობელი და შვილი

ბავშვი პიროვნებად არ აღიქმება, ის არის ნაყოფი, რომელიც შენ გააჩინე!..

საქართველოში მოზარდების მშობელთა უმეტესობა აღზრდის ავტორიტარულ სტილს მიმართავს. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში მშობლების ნაწილი შვილების მიმართ ფიზიკურ და ფსიქოლოგიური დასჯის მეთოდს იყენებს. მშობლების დიდი ნაწილი სირთულეებს განიცდის აღზრდის დროს და მოზარდები მშობლების მხრიდან სათანადო მხარდაჭერას ვერ გრძნობენ. ამასთან, მშობლები ნაკლებად ზრუნავენ მოზარდების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ეს მაშინ, როცა თავად მშობლები უნდა დაეხმარონ შვილებს სირთულეების გადალახვასა და სათანადო უნარების განვითარებაში.

გაეროს ფონდის წარმომადგენელი **ღასან ხალილი** ამბობს, რომ ამ მიმართულებით დახმარება მშობლებსაც სჭირდებათ. საქართველოში არ არსებობს მოზარდების მშობელთა გაძლიერებისკენ მიმართული პროგრამები.

ფსიქოლოგი, კლინიკური ფსიქოლოგიის დარგის სპეციალისტი **კონსტანტინე პოზოვი** ეთანხმება გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულ კვლევას, რომლის თანახმადაც, მშობელთა ნაწილი საქართველოში აღზრდის ავტორიტარულ სტილს მიმართავს. მისი განმარტებით, მშობლებს გადამზადება აუცილებლად სჭირდებათ, უფრო მეტიც, სანამ დაქორწინდებიან და მშობლები გახდებიან, მანამ სჭირდებათ სერიოზული გადამზადება.

„ავტორიტარიზმი სრულ მორჩილებას მოითხოვს, ჩვენს საზოგადოებაში ბავშვი პიროვნებად არ აღიქმება, ის აღიქმება ნაყოფად, რომელიც შენ გააჩინე და შენ გაქვს იმის განცდა, რომ მშობელი ხარ და უკეთესად იცი, რა სჭირდება ბავშვს. რა თქმა უნდა, ხშირ შემთხვევაში, ასეც არის, მშობელს ცუდი არ უნდა ბავშვისთვის, მაგრამ ჩვენი მშობლები ვერ ეგუებიან იმას, რომ, კი, შენ გააჩინე შვილი, შენ მიეცი მას სიცოცხლე, მაგრამ ეს არსება დამოუკიდებელი პიროვნებაა, შენ მასში უნდა გამოაღვიძო მისივე უნარ-ჩვევები, რომელიც თანდაყოლილი აქვს და, პლუს ამას, შესთავაზო შენი ცხოვრებისეული გამოცდილება, შენი ოჯახის ისტორია, ზნე-ჩვეულებები. ეს ფორმატი ძალიან საინტერესოა, როცა ის ურთიერთობითაა განპირობებული და არა — მბრძანებლობით. ჩვენ ბავშვებისგან ვითხოვთ მორჩილებას, მაგრამ ნებისმიერი მორჩილება, რომელიც თავმდაბლობით გააზრებული არ არის და შინაარსმოკლებულია, მომავალში პროტესტის გრძნობას აჩენს“, — აცხადებს კონსტანტინე პოზოვი For.ge-სთან საუბარში და ქრისტიანულ თავმდაბლობაზეც ამახვილებს ყურადღებას.

განათლების საკითხების მკვლევარი, ორგანიზაცია „სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ თავმჯდომარე **შალვა ტაბატაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ავტორიტარიზმი არ არის მხოლოდ ჩვენი მშობლების პრობლემა, არამედ ეს არის ზოგადად ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება მოზარდების მიმართ. სკოლებში ეს საკითხი კიდევ მეტ-ნაკლებად დარეგულირებულია, თუმცა ცემისა და შეურაცხყოფის მექანიზმები წახალისებულია სკოლისმიღმა აქტივობებში, თუნდაც სპორტულ ან ხელოვნების სფეროს აქტივობებში, სადაც კარგ სპეციალისტად ითვლება ცეკვის მასწავლებელი, რომელიც კარგად იგინება და მკაცრად უსწორდება მოსწავლეებს.

მისივე თქმით, ბავშვების დასჯა მიუღებელი და ცუდი ტენდენციაა, მაგრამ, თუ გვინდა განათლების სფეროში უფრო ეფექტური შედეგი მივიღოთ, მშობელთა ჩართულობა აუცილებელია.

რაგინდ ბევრიც არ უნდა გააკეთოს სკოლამ ბავშვისთვის, მშობელთა ჩართულობის გარეშე შედეგს ვერ მივიღებთ. ამიტომ ჩვენმა სკოლებმა უნდა დაიწყონ მშობლებთან ურთიერთობა, მშობლების პედაგოგიზაცია, რასაც შესაბამისი მომზადება და ფინანსური რესურსი სჭირდება.

მანანა ნოზაძე

„მდუღარე“ ოკეანე

წლეულს ამერიკის შეერთებული შტატების ნაპირებთან, სან-დიეგოს მახლობლად, ამერიკელმა მეცნიერებმა წყნარი ოკეანის რეკორდული ტემპერატურა — ცელსიუსის 25,9 გრადუსი აღნუსხეს.

ევროპელმა მკვლევარებმა კი მათემატიკური მოდელი შეიმუშავეს, რომელიც 2022 წლამდე ანომალიურ სიცხეებსა და თბილ ზამთრებს წინასწარმეტყველებს.

ბოლო 100 წლის მანძილზე ოკეანის ტემპერატურამ იმდენად მოიმატა, რომ ტემპერატურული რეკორდები განუხრელად ახლდება. თუმცა კი ისიცაა, რომ ზოგან, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, მაგალითად, გრენლანდიის სამხრეთით, წყლის ტემპერატურა შემცირდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავისთავად ტემპერატურა 25,9 გრადუსი ექსტრემალური სულაც არ არის: წყნარი ოკეანის ეკვატორულ ნაწილში ის ცელსიუსის 32-33 გრადუსს აღწევს.

თუ მეხსიერება კარგი გაქვთ...



ალცჰეიმერის დაავადების გაზრდილი საფრთხის გამოვლენა იმის მეშვეობით შეიძლება, თუ რამდენად კარგად ახსოვს კაცს წარსული ცხოვრების მოვლენები.

რამდენადაც ცნობილია, ადრეულ სტატიაზე ალცჰეიმერის დიაგნოსტირება ძალზე ძნელი საქმეა, არადა, მისი მკურნალობა ამ ეტაპზე გაცილებით ეფექტიანია. მაგრამ არიზონის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა ამ საშინელი სენის ადრეული დადგენის ერთგვარ ხერხს მიაგნეს.

ახალი გამოკვლევის შედეგებით ირკვევა, რომ საამისოდ საჭიროა იმის შემოწმება, თუ რამდენად კარგად აქვს განვითარებული ადამიანს ავტობიოგრაფიული მეხსიერება. საქმე ისაა, რომ ამ ტიპის მეხსიერება თავის ტვინის იმ უბნებზეა დამოკიდებული, რომლებიც ალცჰეიმერის ავადმყოფობის ადრეულ სტადიებზე ყველაზე ნაკლებადაა დაცული.

◎ მიკი მაუსი 90 წლისაა...

„რაც შეიძლება მეტი თაგვი!“

მსოფლიო მულტიპლიკაციური, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით ანიმაციური კინოს ყველაზე პოპულარული პერსონაჟი — თაგუნა მიკი, იგივე „მიკი მაუსი“, ცოტა ხნის წინათ 90 წლის გახდა. არადა, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ მიკი მაუსის გენეალოგია... ბოცვერ ოსვალდით დაიწყო.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ახალგაზრდა ანიმატორმა უოლტ დისნეიმ პერსონაჟი მოიგონა, რომელსაც ოსვალდი იღბლიანი ბოცვერი დაარქვა.

მართალია, დისნეის ნახატი პერსონაჟი ნამდვილ ბოცვერს ნაკლებად ჰგავდა, მაგრამ ამის მიუხედავად, დიდად პოპულარული გახდა. თუმცა, შემდეგ მხატვარსა და პროდიუსერს შორის უთანხმოება დაიწყო, რის შედეგად ბოცვერი ოსვალდი ამ უკანასკნელის საკუთრებაში დარჩა. ამან დისნეი დიდად გაანაწყენა და ახალი პერსონაჟი — თაგუნა მაუსი შექმნა. საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ ეს ცხოველი მხატვარს ძალიან უყვარდა. თავდაპირველად თაგუნას მორტიმერი დაარქვეს, მაგრამ შემდეგ უოლტის მეუღლემ მას უფრო ალერსიანი სახელი — მიკი — მოუძებნა. ასეთივე მარტივი იყო თაგუნას დიზაინი — მხატვარმა იუბ აივერქსმა, ფაქტობრივად, ის სფეროებისა და წრეებისგან შექმნა, რათა ხატვის პროცესს რაც შეიძლება ცოტა დრო წაეღო. მართლაც, მიკი მაუსის ცნობილი სილუეტი — თავი, ორი ყური — ფაქტობრივად, ეს სამი შავი წრეა. იმავე მოსაზრებით მიკის თითო თათზე მხოლოდ ოთხი თითი აქვს. მისი ასე დახატვა უფრო იოლი, თანაც გაცილებით იაფი იყო. მოგვიანებით დისნეიმ დათვალა, რომ წრუწუნასთვის მეხუთე თითის „დაკლებით“, მან აუარება დრო და მილიონობით დოლარი დაზოგა.

მიკი მაუსის ოფიციალურ დაბადების დღედ 1928 წლის 18 ნოემბერი ითვლება: სწორედ ამ დღეს ეკრანებზე გამოვიდა პირველი ნახატი ფილმი მისი მონაწილეობით „ვილის გემი“. მისი წარმატება იმანაც განაპირობა, რომ ფილმი ხმოვანი იყო, რაც იმხანად სიახლეს წარმოადგენდა, თუმცა კი მიკი თავად არ ლაპარაკობდა და მხოლოდ მუსიკის რიტმისა და ხმაურის თანხლებით მოძრაობდა. ლაპარაკი კი მიკიმ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაიწყო, მისი პირველი სიტყვა „ჰოთ-დოგი“ იყო.

ცოტა ხანში მიკის „მეგობარი გოგონა“ თაგუნა მინი-მაუსი გაუჩნდა და მაყურებლებმა უმალ დააყარეს დისნეის წერილები — ყველას აინტერესებდა, თუ რამდენად „ახლო ურთიერთობაში“ არიან ისინი, თუმცა იგი ამ ამბავს საიდუმლოდ ინახავდა. მხოლოდ ერთხელ, 1933 წლის სექტემბერში მას წამოსცდა: „სტუდიაში გადავწყვიტეთ, რომ ისინი შეუღლებულები არიან“. არადა, მინი ერთობ თავქარიანი მეუღლე გამოდგა — მიკის თანდასწრებით ის თავს უფლებას აძლევდა თავის ყოფილ „კავალერთან“ მორტიმერთან ეარშიყა (აი, სად გამოდგა უარყოფილი სახელი!).

მაშინ, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, უოლტ დისნეის სტუდიაში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ დროთა განმავლობაში მიკი მილიონიანი შემოსავლების მომტანი გახდებოდა.

მიკი მაუსის შესახებ მოკლემეტრაჟიანი ნახატი ფილმების წარმოუდგენელი წარმატების შემდეგ, უოლტ დისნეიმ სხვა პერსონაჟიანი ფილმების გადაღება სცადა, მაგრამ გამქირავებელთა რეაქცია მკვეთრად უარყოფითი იყო — ერთ-ერთმა მათგანმა დეპეშაც კი გაუგზავნა „სხვები არ გვინდა, მოგვაწოდეთ მეტი თაგვი!“

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მიკი მაუსი პირველი ანიმაციური გმირი გახდა, რომელმაც ჰოლივუდის დიდების ალეაზე სახელობითი ვარსკვლავი დაიმსახურა. ამჟამად კი, ჩატარებული გამოკითხვებით ირკვევა, რომ მთელ მსოფლიოში 3-დან 11 წლამდე 98 პროცენტი ბავშვი მიკი მაუსის გამოსახულებას სცნობს.

ნინო ალექსანდრია

◎ კალათბურთი

„უნიკახა“ მე-2 ჯგუფურ ეტაპზეა

გიორგი შერმადინის „უნიკახამ“ ევროთასის პირველი ჯგუფური ეტაპი იოლად დაძლია და მე-2 რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა.

მალაგელებმა D ჯგუფის დასკვნითი მატჩი შინ იტალიურ „ფიატ ტურინთან“ გამართეს და, მართალია, დიდ შესვენებაზე ექვსქულიანი ჩამორჩენით (41:47) გავიდნენ, მაგრამ საბოლოოდ დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმეს — 89:68.

ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 18 წუთში 9 ქულა და 6 მოხსნა (2 შეტევაში) მიითვალა.

გიორგიმ 6-დან 3 ორქულიანი და 3-ვე საჯარიმო გამოიყენა, ბურთი ერთხელ დაკარგა, 3 პერსონალური ფოლი მიიღო და მის წინააღმდეგაც 3-ჯერ დაჯარიმდნენ.

„უნიკახას“ მხრიდან 10-ქულიანი ზღვრის გადალახვა ხაიმე ფერნანდესმა (14), ადამ ვაჩინსკიმ (14), სასუ სალინმა (13) და ჯაილ ვილჯერმა (11) მოახერხეს, სტუმართაგან კი ამერიკელი ლეგიონერი დალას მური (24) გამოირჩა.

საინტერესოა, რომ ესპანურმა კლუბმა იტალიური აშკარად დაჯაბნა მოხსნებში (48:31) და, ამასთან, 44 (!) სამქულიანი ესროლა, საიდანაც 18 ჩააგდო.

ამგვარად, „უნიკახამ“ 8 მოგება და 2 მარცხი მოაგროვა და ჯგუფში ყაზანის „უნიქსის“ (9 გამარჯვება, 1 წაგება) კვალად მე-2 ადგილი დაიკავა.

მე-2 ჯგუფურ ეტაპზე, რომელიც სტარტს 2 იანვარს აიღებს, მისი მეტოქეები ესპანურივე „ვალენსია“, სერბული „ცრვენა ზვეზდა“ და ფრანგული „ლიმოჟი“ იქნებიან.

მეოთხედფინალში გასასვლელად შერმადინსა და მის თანაგუნდელებს პირველ ან მეორე პოზიციაზე გასვლა სჭირდებათ. მალაგელები სასტარტო მატჩს 2 იანვარს სტუმრად ვალენსიაში ჩაატარებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ვითომ, მართალია?

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა უეფაზე ზეწოლა მოახდინა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის წილისყრასთან დაკავშირებით. სკანდალურ ინფორმაციას ესპანური მედია ავრცელებს.

ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მერვედფინალის წილისყრამდე 5 დღით ადრე, 12 დეკემბერს, ESPN-ის არგენტინული ტელეარხის ერთ-ერთ სპორტულ გადაცემაში გაითამაშეს სცენარი, რომლის მიხედვითაც პერესი უეფას წარმომადგენელს ურეკავს და ეუბნება, რომ „რეალს“ მერვედფინალში ამსტერდამის „აიაქსი“ შეახვედრონ. ჯერჯერობით ეს ინფორმაცია დაუზუსტებელია და მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ ფაქტია, რომ „რეალს“ წილისყრის შედეგად მეტოქედ სწორედ ჰოლანდიური გუნდი ერგო. **სხვათა შორის, „რეალმა“ იაპონური „კაშიმა“ 3:1 დაამარცხა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში გავიდა, სადაც ხვალ საამიროების „ალ ანუის“ შეხვდება.**

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

გერმანიაში კერბერი აღიარეს

გერმანიის წლის საუკეთესო სპორტსმენად ანგელიკა კერბერი დაასახელეს. აღნიშნულ ინფორმაციას იქაური ოლიმპიური კომიტეტის ვებ-გვერდი ავრცელებს.



მან წელს უიმბლდონი მოიგო, სადაც ფინალში სერენა უილიამსი 6:3, 6:3 დაამარცხა; აგრეთვე ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გავიდა და სიდნეისა და ჰოფმანის ტურნირები მოიგო.

საუკეთესო კაცი სპორტსმენი ველობრბოლელი პატრიკ ლანგე გახდა, ხოლო გერმანიის წლის საუკეთესო გუნდად ყინულის ჰოკეის ნაკრები დაასახელეს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

საქართველო ექვს ერშია — ჯერ მხოლოდ ერთი მსაჯით!

ქართველი არბიტრების — შოთა თევზაძისა და ნიკა ამაშუკელის კარიერული წინსვლა თავბრუდამხვევი ტემპებით გრძელდება. 2019 წელს ორივე იმსაჯებს რაგბი ევროპის ჩემპიონატის უმაღლეს დონეზე, ამაშუკელი კი გახდება პირველი ქართველი, რომელიც ექვსი ერის ჩაკეტილ კარს შეაღებს!

ამ წარმატებას ორივე მათგანმა უდიდესი შრომის ფასად მიაღწია. ახალგაზრდულ ნაკრებებში თამაშის შემდეგ ნიკას და შოთას აქტიურ სპორტულ კარიერაზე უარის თქმა ტრავმების გამო მოუწიათ, თუმცა, რაგბის სიყვარულმა იმძლავრა და, საქართველოში არაპოპულარულ სპეციალობას მოკიდეს ხელი.

მსაჯი თამაშის ისეთივე შემადგენელი ნაწილია, როგორც მოთამაშე და მისი განვითარების გარეშე რაგბის წინსვლაზე საუბარიც არ შეიძლება. ამ მიმართულებას დიდი ყურადღება დაუთმო რაგბის კავშირმა, ახალგაზრდა ბიჭებმაც საკუთარი როლი კარგად გაითავისეს, დაუღალავი ვარჯიშების პარალელურად ინგლისურ ენას დაეუფლნენ და სამი წლის წინ მათთვის ევროპის კარი გაიხსნა — ყველაზე დაბალი, რაგბი ევროპის მესამე დივიზიონიდან, 2019 წლიდან კი ისინი ევროპული რაგბის მწვერვალზე აღმოჩნდებიან.

ქართულ რაგბის მხარში დაუდგა ირლანდიის რაგბის კავშირის სამსაჯო კომიტეტი, რომელმაც ნიჭიერი ახალგაზრდების პროგრესზე იზრუნა და ნელ-ნელა ისინი საერთაშორისო რაგბის გაუშინაურდნენ, სხვადასხვა დონის ეტაპები სწრაფად გაიარეს და ტესტ-მატჩებშიც დამკვიდრდნენ.

ნიკა ამაშუკელი „საქმეში“

რაგბი ევროპაზე — ორი მსაჯით!

ამ ყველაფერს ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა — ნიკა და შოთა თებერვალში ევროპის რანგით მეორე (ექვსი ერის შემდეგ) ტურნირში, რაგბი ევროპის ჩემპიონატზე გამოჩნდებიან, იქ, სადაც ყოველი წლის დასაწყისში „ბორჯღალოსნები“ თამაშობენ. აღსანიშნავია, რომ ქართველ მსაჯებს ამ დონის ტურნირზე მიწვევა აქამდე არასდროს მიუღიათ.

თევზაძე თებერვლის დასაწყისში (9) ბელგიისა და გერმანიის ნაკრებების შეხვედრას განსჯის:

„რაგბის ევროპის ჩემპიონატის მატჩზე დანიშვნა განვლილი წლების შრომის შედეგია და ამან ძალიან გამახარა. ეს საკმაოდ მაღალი დონეა. აქამდე ქართველთაგან ერთა თასის შეხვედრა მხოლოდ გია ამირხანაშვილმა იმსაჯა, როდესაც არბიტრებმა ვერ მოახერხეს თბილისში ჩამოსვლა, ოფიციალური მოწვევა კი პირველებმა მე და ნიკა ამაშუკელმა მივიღეთ. ეს აშკარად წინგადადგმული, დიდი ნაბიჯია, რაც მნიშვნელოვანია როგორც ჩვენთვის, ასევე ქართული რაგბისთვის. როდესაც ევროპის დონით მეორე სანაკრებო შეჯიბრზე, იქ, სადაც შენი ქვეყნის ეროვნული ნაკრები თამაშობს, ორი მსაჯი გყავს, პატივისცემაც იზრდება. ნაკრები, გუნდები და მსაჯები ერთად უნდა განვვითარდეთ და ამ მიმართულებით უდიდესი წარმატება გვაქვს.

არ ველოდი, რომ ასეთ ასაკში რაგბი ევროპის უმაღლეს დონეს მივაღწევდი, რადგან ასაკს და გამოცდილებას ევროპაში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ. საბედნიეროდ, გაჩნდა ამის პერსპექტივა და ჩვენის მხრიდან მონდომებას არ დავაკლებთ.

ერთი კვირის შემდეგ რუმინეთისა და გერმანიის ნაკრებების შეხვედრაზე მთავარი მსაჯი უკვე ამაშუკელი იქნება:

„უდიდესი წარმატებაა, როდესაც კაცთა რაგბის ამ დონის ტურნირზე მსაჯობას განდობენ. გვქონდა საუბრები, რომ ამ დონეზე აუცილებლად ავიდოდით, მაგრამ არ ველოდით, ასე მალე თუ მოხდებოდა. ვფიქრობ, რუმინეთისა და გერმანიის შეხვედრა საინტერესო გამოვა. რუმინეთს რეგრესი აქვს, გერმანია პროგრესირებს. შარშან „კონტინენტის ფარის ნახევარფინალში გერმანიის ჩემპიონმა „ჰეიდებერგმა“ რუმინეთში „ტიმიშუარას“ მოუგო. მოედანზე მრავლად იყვნენ ნაკრების მოთამაშეები და, ვფიქრობ, გერმანელები იოლად ახლაც არაფერს დათმობენ“.

პირველად — „უცხო კაცი“ ექვს ერში

პირველად ექვსი ერის სტრუქტურაში, სადაც ინგლისის, საფრანგეთის, ირლანდიის, უელსის, შოტლანდიისა და იტალიის კაცთა, ქალთა და 20-წლამდელთა ნაკრებები თამაშობენ, არა ამ ქვეყნების წარმომადგენელი გამოჩნდა და ის ქართველი მსაჯია!

ელიტაში პირველმა ფეხი ნიკა ამაშუკელმა შედგა, რომელიც 9 მარტს ინგლისში მასპინძელ და იტალიელ 20-წლამდელთა ნაკრებების მატჩში ცენტრალური მსაჯი იქნება.

„არ ველოდი ექვსი ერის თამაშზე დანიშვნას... 20-წლამდელთა ექვსი ერი ელიტის ნაწილია და ეს როგორც ჩემთვის, ასევე ქართული რაგბისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ექვსი ერი ჩაკეტილი საზოგადოებაა და პირველად ხდება, რომ არა ექვსი ერის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნის მსაჯი ამ ტურნირში ჩაერთვება. იქ უდიდესი კონკურენციაა, უმაღლესი დონის მსაჯები მუშაობენ და მათთან ერთად უდიდეს გამოცდილებას შევიძენ, რაც საბოლოოდ ისევ ქართულ რაგბის წაადგება. მქონდა საუბარი ჩემს მასწავლებელთან, ირლანდიელ დევიდ მაკქიუსთან, რომელიც ძალიან მეხმარება და მან მითხრა — ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ სხვა ქართველ მსაჯებს გზა გავუკვალო უმაღლესი მწვერვალისკენ.

ჯერ არ ვიცი, ვინ იქნებიან ჩემი ასისტენტები. მოუთმენლად ველი ამ შეხვედრას, რადგან ინგლისში ინგლისის ნაკრების თამაშის მსაჯობა დიდი პატივი და საპასუხისმგებლო საქმეა. ვიცით, როგორ უყურებენ ინგლისელები რაგბის თამაშებს და დიდი ინტერესით ველოდები მომავალი ვარსკვლავების შეხვედრას, ასევე შეფასებას მაყურებლისგან და სპეციალისტებისგან“.

რა იყო გადამწყვეტი, რამაც ამაშუკელს ასეთ დონეზე მსაჯობის უფლება მოუტანა? ის ფიქრობს, რომ:

„კარგი გამოძახილი მქონდა 20-წლამდელთა „ალაფაზე“, სადაც ერთადერთი მსაჯი ვიყავი, რომელმაც ერთბაშად ოთხი თამაში ვიმსაჯე და რანგით ასეთი დონის ტურნირის კარგად ჩატარება ძალიან ბევრს ნიშნავს. ასევე საკლუბო ტურნირებზე და ყველა საერთაშორისო მატჩზე კარგ შეფასებას ვიღებდი. სეზონის დასაწყისშიც, „მარკუსიში“, მსაჯების შეკრებაზე ტესტები ყველაზე კარგად ვირბინე. დიდი დახმარება გამიწია EPCR-ის მსაჯთა თავკაცმა ჟოელ ჟუშმა, რომელიც ჩემს მიმართ კეთილგანწყობილია.

ეს არა მხოლოდ ჩემი, არამედ მთელი ქართული რაგბის გამარჯვებაა და მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ გოჩა სვანიძეს, დავით შუბითიძეს და ლუკა კილასონიას. რაგბის კავშირი ჩვენს მიმართ მორალურ და ფინანსურ მხარდაჭერას არ იშურებს და სწორედ ამის დამსახურებაა, მე და შოთამ ასეთ სიმაღლეებს რომ მივაღწიეთ“.

კობა კობახიძე

დავით კირკიტაძეს პატიმრობა შეეფარდა

გურჯაანის **რაიონულმა სასამართლომ გაერთიანებული ოპოზიციის წევრ დავით კირკიტაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.**

ბრალდების მხარემ სხდომაზე კირკიტაძისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება მოითხოვა, მიზეზად კი, მიმალვის საფრთხე დაასახელა.

რაც შეეხება დაცვის მხარეს, კირკიტაძის ადვოკატმა გიორგი კონდახიშვილმა განაცხადა, რომ დავით კირკიტაძე თავს დამნაშავედ არ ცნობს და მისი დაკავება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო.

სასამართლო სხდომაზე კირკიტაძემ განაცხადა, რომ ის შსს-ს უნდობლობას უცხადებს, თუმცა მზად არის, სასამართლოსთან ითანამშრომლოს. მისივე თქმით, მას არ სურს, გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებდეს, რაზეც მოსამართლემ განუმარტა, რომ აღნიშნულ საკითხს სასამართლო არ წყვეტს.

„ბევრი ქალი პოლიციელი მუშაობს კახეთში...“

შს მინისტრის მოადგილე მიიჩნევს, რომ ოპოზიციის წევრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, პოლიციის სისტემაში ქალის როლის დაკნინებას აქვს ადგილი, — განცხადება ნათია მეზვრიშვილმა ამის შესახებ გურჯაანის სასამართლოსთან პოლიციელი ქალების კორდონის შესახებ საუბრისას გააკეთა.

„წინასწარ ვერანაირად ვერ იქნებოდა ცნობილი დავით კირკიტაძის მიმართ რა აღკვეთის ღონისძიება იქნებოდა გამოყენებული. ოპოზიციამ აქციები დააანონსა, ისევე როგორც ვიქცევით ხოლმე აქციების დაანონსების წინა დღეებში, გავავრცელეთ ინფორმაცია, რომ პილიცია საზოგადოებრივ წესრიგს დაიცავდა. თუ გავითვალისწინებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, რა რაოდენობის პოლიციაც მივიჩნიეთ საჭიროდ, იმისთვის, რომ მართლწესრიგი დაგვეცვა, იმ რაოდენობის პოლიცია მივიყვანეთ გურჯაანში.

რაც შეეხება ქალების ყოფნას — ოპოზიციის წარმომადგენლებისა და არასამთავრობოების მხრიდან მოვისმინე განცხადებები, რომ თითქოს ქალები იქ არ უნდა მდგარიყვნენ, ეს პირადად მიმაჩნია, რომ ქალის როლის დაკნინებაა პოლიციის სისტემაში, ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე ქალები იკავებენ პოზიციას შსს-ში. ეს მიუთითებს ამ საკითხის პრიორიტეტულობაზე, ვფიქრობ, ამ საკითხზე აპელირება აკნინებს ქალის როლს პოლიციაში, იმიტომ, რომ მათ ისევე კარგად შეუძლიათ მართლწესრიგის დაცვა და საპოლიციო ფუნქციების შესრულება, როგორც კაცებს, და ასეთი დამოკიდებულება ჩემთვის მიუღებელია.

იყო თუ არა ეს შეგნებულად გაკეთებული, არ ვიცი, ვერ გეტყვით, ეს თუ არ იყო უბრალოდ დამთხვევა, ბევრი ქალი პოლიციელი მუშაობს კახეთში, ეს თუ არ იყო დამთხვევა, და ამის მიღმა რაღაც სექსისტური მოტივაცია იყო, რაზეც ზოგიერთები მიუთითებენ, ამ საკითხით დავინტერესდები“ — განაცხადა მეზვრიშვილმა.

ყველა დამნაშავე დაისჯება!

ბუტა რობაქიძის **მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით განაჩენის გამოცხადების შემდეგ ია მეტრეველმა აღნიშნა, რომ დღეიდან ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა მკვიდრდება.**

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უამრავი ადამიანია რიგში და მოუთმენლად ელის სამართლიანობის აღსრულებას, ჩნდება კითხვა, რამ შეიძლება დააბრკოლოს ეს პროცესი და უნდა ვირწმუნოთ თუ არა, რომ ბიძინა ივანიშვილის დაპირებისამებრ, ხალხის ნება აღსრულდება.

რასაკვირველია, ყველამ წინასწარ იცის, რომ მოსალოდნელია „ნაციონალების“ შეხვედრა დიპლომატებთან, დამნაშავეების პოლიტპატიმრებად წარმოჩენა და ცალკეულ დიპლომატთა შეშფოთებაც, რომ ქვეყანაში არ შეიძლება პოლიტიკური ნიშნით დევნა, მაგრამ აქ მთავარია, შედრკება თუ არა ამით ჩვენი ხელისუფლება? როგორი გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს დაკავებებს და მართლაც დაიწყება თუ არა სამართლიანობის აღდგენა?

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** აცხადებს, რომ ბუტა რობაქიძის საქმეზე განაჩენის გამოტანით საეჭვოა, შორსმიმავალი დასკვნის გამოტანა შეგვეძლოს, რომ საქართველოში თურმე სამართლიანობის აღდგენის ტენდენცია იწყება. ბუტა რობაქიძის მკვლელობის გამოძიების ბოლომდე მიყვანა მხოლოდ ერთი საქმეა და ვნახოთ, პროცესი როგორ განვითარდება, რადგან რობაქიძეების ოჯახის გარდა „ნაციონალების“ დროს ძალიან ბევრი ადამიანი დაზარალდა. თუ ეს პროცესი გაგრძელდება და მიიღებს ისეთ ფორმას, რასაც ელოდება საზოგადოება, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ სამართლიანობის აღდგენის ტენდენციაზე.

„უამრავი საქმეა გამოსაძიებელი, ამ საქმეების მსვლელობისას შესაძლოა, შეგვხვდეს დასავლეთისგან წინააღმდეგობა. რა თქმა უნდა, გვეტყვიან, რომ ეს ოპონენტთა

ხელისუფლება საკუთარი მოსახლეობის წინაშე უნდა იყოს პირნათელი...

პოლიტიკური დევნაა, მაგრამ აქ უკვე სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, რა ურჩევნია, საკუთარი მოსახლეობის წინაშე იყოს პირნათელი, თუ დასავლეთის წინაშე“, — ასკვნის ზაალ ანჯაფარიძე.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ, რასაკვირველია, მოსალოდნელია „ნაციონალების“ შეხვედრა დიპლომატებთან და დიპლომატების შეშფოთებაც, მაგრამ „ნაცების“ აქტიურობას არაფერი მოჰყვება, რადგან დაუშვებელია დიპლომატებმა დამნაშავე პირების გამართლება მოგვთხოვონ.

„ია მეტრეველის განცხადებას მინდა შევუერთდე და იმედი ვიქონიო, რომ სამართლიანობა აღდგება. ბოლოს და ბოლოს, დაიწყება ეს პროცესი და ყველა დამნაშავეს საკადრისი მიეზღვება. ბუტა რობაქიძის საქმის შემთხვევაში, ეს სასამართლოს გადაწყვეტილება იყო და ამას რატომ უნდა მოჰყვეს გართულებები?! აქაც „ნაცები“ იხმაურებენ, ხალხის შეკრებას დაიწყებენ, მცირე რაოდენობით ამას მოახერხებენ კიდეც, რადგან ასეთი ადამიანების გარკვეული რაოდენობა მუდმივად ეყოლებათ. შეიძლება, ისინი სექტადაც ჩამოყალიბდნენ და იხმაურონ ყოველგვარი შედეგის გარეშე.

ჩვენ გვახსოვს, ზვიადისტები როგორ აქტიურობდნენ. ცხადია, მათ „ნაციონალებს“ ვერ შევადარებ, რადგან ზვიადისტები ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის გაგდებისა და მისი დაღუპვის გამო იყვნენ ასეთ მდგომარეობაში. თუმცა მას შემდეგ ორი პარლამენტი იყო არჩეული და იყვნენ ისეთი რადიკალი ზვიადისტებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ არალეგიტიმურია ყველა პარლამენტი, უნდა დაიშალოს და ზვიადი უნდა ჩამოვიდეს. ამას მას შემდეგაც ამტკიცებდნენ, რაც ზვიად გამსახურდია უკვე გარდაცვლილი იყო.

სამართალი ურმით დადის. დიდი იმედი მაქვს, სხვა საქმეებსაც გამოიძიებენ და სამართლიანობის აღდგენა დაიწყება. ამას დასავლეთიც გაგებით მოეკიდება, რადგან, როცა სიმართლე ჩვენს მხარესაა, არ გაგვიჭირდება ამ სიმართლის ახსნა“, — აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა და დავით კირკიტაძის დაკავებასაც გამოეხმაურა.

მისი თქმით, ათი პოლიციელია დაშავებული, მანქანები დამტვრეულია და რომელ ქვეყანაში გვინახავს, პოლიციელის გამლახავს პასუხი არ აგებინონ? ასეთი რამ შეუძლებელია. „ნაციონალების“ ხმაური არ ნიშნავს, რომ დამნაშავეები არ დასაჯონ. თანაც, საკმაოდ კარგად აუხსნეს ოფიციალურმა პირებმა დიპლომატებს, რატომ მოხდა დაკავება, არსებობს საამისო ვიდეოკადრები, მტკიცებულებები და გართულება არც ამ ფაქტს მოჰყვება.

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** მიიჩნევს, რომ ბუტა რობაქიძის საქმე იყო ისტორიულად გარდამტეხი, როცა „ნაციონალური“ რეჟიმის გარიჟრაჟზე ჩადენილ დანაშაულზე სამართლიანი შედეგის დადგომით დაიწყო ათვლის წერტილი, მაგრამ ამას მუხროვანის, აფრასიძეებისა და სხვა საქმეების გამოძიებაც უნდა მოჰყვეს.

„დღევანდელმა ხელისუფლებამ პოლიტიკური ნება უნდა გამოიჩინოს და ეს საქმეებიც ბოლომდე მიიყვანოს. 200 პოლიტპატიმრისა და 25 პოლიტდევნილის საქმის გამოძიება საბოლოოდ მიგვიყვანს სისტემური დანაშაულის გამოძიებამდე“, — აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ ჩვენთან საუბრისას.

მოამზადა
მანანა ნოზაძემ.

მოგონება

დავით (დამერლან) როგავა

24 დეკემბერს ჩვენი უფროსი ძმის დავით (დამერლან) როგავას (1932 - 2018) გარდაცვალებიდან მეორმოცე დღე სრულდება. მართლმადიდებლური სწავლებით ამ დღეს მისი სული მარადისობაში გადავა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამით დამერლანის ცხოვრება დასრულდება. ჩვენდა სანუგეშოდ ეკლესიამ დააწესა მოხსენიების რამდენიმე, მათ შორის მეორმოცე დღეც.

გავა კიდევ არაერთი 40 დღე, მაგრამ ჩვენ, მის ძმებს, რომლებსაც დამერლანი საკუთარი თავივით გვახსოვს, გამორიცხულია, დავივიწყოთ მისი როლი არა მარტო ჩვენი — დედმამიშვილების, არამედ შვილებისა და შვილიშვილების აღზრდაში.

დიდი ნიჭის და კლასიკური განათლების მქონე პიროვნება ბავშვობიდან, და შეგვიძლია ვთქვათ განვლილი ცხოვრების დიდი მანძილის ყველა ეტაპზე, პირნათლად, უდიდესი მონდომებით და პასუხისმგებლობით ასრულებდა ლიდერის მოვალეობას და ფუნქციებს ნათესაობაში, ოჯახში, სკოლაში, ინსტიტუტში, ამხანაგებისა და მეგობრების წრეში, საზოგადოებრივ, პარტიულ თუ სახელმწიფო სტრუქტურებში; როგორც სწავლული და პროფესორი — უმაღლესი განათლების სფეროში.

24 დეკემბერს გვინდა, რომ ჩვენც, მისმა ნათესავებმა და მეგობრებმა, მფარველ ანგელოზებთან ერთად ვილოცოთ და ვთხოვოთ ღმერთს, დამერლანს სასუფეველი დაუმკვიდროს.

სულიკო და ამირანი

დაცვის პოლიციას კერძო დაცვის უფლება აეკრძალა

საქართველოს **საკონსტიტუციო სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინიტროს დაცვის პოლიციის მიერ ერთდროულად დაცვისა და მაკონტროლირებლის ფუნქციის შეთავსება არაკონსტიტუციურად ცნო.**

გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც ძალაში 2019 წლის ივლისიდან შევა, დაცვის პოლიცია ვერც ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დაცვას განახორციელებს.

საკონსტიტუციო სასამართლოში სადავო ნორმები რამდენიმე კერძო დაცვის კომპანიამ გაასაჩივრა. კონსტიტუციური სარჩელის ავტორი კონსტიტუციონალიტი ლევან მახარაშვილია. მისი განცხადებით, აქამდე არსებული ნორმები ბაზარზე არაკონკურენტუნარიან გარემოს ქმნიდა, კერძო დაცვის კომპანიებს კი არათანაბარ პირობებში აყენებდა.

„სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმები და დაადასტურა, რომ სახელმწიფო, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შეშვეობით უხეშად ერევა კერძო დაცვის ორგანიზაციების საქმიანობაში, რითიც შეუძლებელს ხდის თავისუფალ და კონკურენტუნარიან საქმიანობას, ვინაიდან, ერთი მხრივ, თავად ახორციელებს იმავე ბიზნესს, მეორე მხრივ კი კონკურენტების მიმართ გააჩნია მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქცია. არაკონსტიტუციური ნორმები ქმნიან ისეთ უსამართლოს პრაქტიკას, როდესაც კერძო დაცვის ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის შედეგიანობა პირდაპირ დამოკიდებულია კონკურენტის — დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კეთილ ნებაზე, რაც შეუძლებელს ხდის ჯანსაღი კონკურენციის არსებობას“, — განაცხადა მან.

პეკინის გამზირზე „ჯეოსელის“ ოფისი გატეხეს

თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე „ჯეოსელის“ ოფისი გატეხეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით ადგილზე ერთი არასრულწლოვანი პირი გამოავლინეს.

მიწისქვეშა ჩქაროსნული გვირაბი ლოს-ანჯელესში

SpaceX-სა და Tesla-ს დამფუძნებელმა ილონ მასკმა ლოს ანჯელესის ქვეშ ჩქაროსნული მიწისქვეშა გვირაბი გახსნა. პრეზენტაცია ჟურნალისტებისა და ვიპ-სტუმრებისთვის გაიმართა. სტუმრები მიწისქვეშ ცხრა მეტრის სიღრმეში ლიფტით დაეშვნენ.

დაშვების დასრულების შემდეგ ვიწრო გვირაბმა, რომელიც წითელი იყო, მწვანე ფერი მიიღო და ავტომობილი დაიძრა. ის საათში 65 კმ-ით მოძრაობდა. 1კმ-სა და 500 მეტრის სიგძის გზა სამ წუთში დაიფარა, სწორედ ამდენივე დრო დასჭირდათ სტუმრებს მაღლა ასვლისას. მასკმა, რომელიც ტრანსპორტით გადატვირთული ლოს-ანჯელსის პრობლემის მოგვარებას მიწისქვეშა გვირაბებში ხედავს, მგზავრობას ეპიკური უწოდა.

მისი თქმით, გვირაბები მომავალში შუშასავით პრიალა იქნება. გვირაბი ჩქაროსნული მაგისტრალის მსგავსი იქნება. ის ასევე არ გამორიცხავს, რომ მიწისქვეშა გვირაბებით შესაძლოა, ქვეითებმა და ველოსიპედისტებმაც ისარგებლონ.

ემოციურობის რეიტინგი

მეცნიერებმა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ემოციურობის რეიტინგი შეადგინეს, რომელშიც 150 ქვეყნის მცხოვრების მიერ ყოველდღიურად განცდილი ემოციების ოდენობა გააანალიზეს.

რეიტინგის ლიდერები **ფილიპინელები** აღმოჩნდნენ, რომლებიც დღის განმავლობაში ემოციების მთელ სპექტრს განიცდიან (100 პროცენტი). რეიტინგში ყველაზე დაბალი მაჩვენებლები **ლიტველებსა** და **სინგაპურელებს** აქვთ.

მოდელი, ბლოგერი, გულშემატკივარი

შეიძლება სახელმა და გვარმა შეცდომაში შეგიყვანოთ და არ დაიჯეროთ, რომ ლამაზმანი სახელად პაოლინა პოსო დანიელია. წარმოშობით იტალიელი ასული თავს ჭეშმარიტ დანიელად თვლის და დანიის მოთხილამურეთა ნაკრების ისეთი თავგადაკლული ქომაგია, ბევრ გულშემატკივარს რომ არც კი დაესიზმრება.

პაოლინა პოსო რამდენიმე წლის წინათ დანიელ სტუდენტებს შორის ულამაზესად დაასახელეს და "მის უნივერსის" წოდებაც მოიპოვა. ამის შემდეგ მსოფლიოს „მის უნივერსიზე" უწევდა წასვლა, თუმცა ღონისძიებას ზამთრის ოლიმპიადა დაემთხვა და პაოლინამ არჩევანი ქომაგობის სასარგებლოდ გააკეთა.

შეუძლებელი არ ვახსენოთ ისიც, რომ მშვენიერი პაოლინა პოსო დანიაში საკმაოდ ცნობილი ბლოგერიცაა და მის პირად ინტერნეტ-ბლოგზე უხვად შეხვდებით თამამად გადმოცემულ ისტორიებს, სადაც დიდი ხვნეშა-კვნესა და სექსის სურნელი ტრიალებს. აშკარაა, რომ ეს ასული კომპლექსებით ნამდვილად არ გამოირჩევა...

კინო „რუსთაველი" – უკანასკნელი კინოთეატრი თბილისში?

გაძრევა თუ არა კინოთეატრი „რუსთაველი" – ბოლო კინოთეატრი, რომელიც თითქმის 80 წლის წინ, 1939 წელს, სწორედ კინოს ჩვენების ფუნქციით აშენდა და მიხეილ ჭიაურელის ფილმით „დიადი განთიადით" გაიხსნა.

უკვე რამდენიმე თვეა, კინო „რუსთაველი" დაკეტილია. მისი მფლობელები გეგმავენ „შენობის განვითარებას სასტუმროს მიმართულებით კინოს თემატიკით". ამის თაობაზე მერიის არქიტექტურის სამსახურში რამდენიმე დღის წინ ესკიზის შეთანხმების შესახებ განაცხადიც შევიდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, კინოთეატრის რეკონსტრუქციის იდეა ის არის, რომ სასტუმრო მოეწყობა, თუმცა დარჩება ერთი ან ორი კინოდარბაზიც. თბილისის ბოლო კინოთეატრის შესაძლო აღარარსებობაზე მისი გულშემატკივრები ბოლო დროს სოციალურ ქსელშიც ჩივიან:

„დაუშვებლად მიგვაჩნია ფუნქციის შეცვლა!

„რუსთაველი" პრაქტიკულად უკანასკნელია იმ კინოთეატრებს შორის, რომელსაც არ შეუცვლია ფუნქცია.

საბედნიეროდ, არქიტექტურის სამსახურმა და საბჭომ პროექტი დაიწუნა!

აუცილებელია სასწრაფოდ გაფორმდეს ხელშეკრულება სახელმწიფოსა და მფლობელს შორის, სადაც ჩაიწერება, რომ შენობას აუცილებლად უნდა შეუნარჩუნდეს ფუნქცია! თუ თბილისის მერიას აქვს შესაძლებლობა, კარგი იქნებოდა, გამოესყიდა შენობა და გაეკეთებინა მუნიციპალური კინოთეატრი (ყველა თავმოყვარე ქალაქს ასეთი კინოთეატრი გააჩნია)!

ეკა ქევანიშვილი

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი"
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე"
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე"
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია"
266-51-13; 593 209 526

100 წლის გაზეთი
თქვენს დახმარებას ელის!

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას" ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე").

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6647; ევრო - 3.0380;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3695
100 რუბლი - 3.9642; თურქული ლირა - 0.4993;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5721;
1000 სომხური დრამი - 5.4999.

ამინდი 21 დეკემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -2, დღე +11
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +8
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +6, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე -2, დღე +8
თბილისი: ღამე +3, დღე +9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge